ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სალიტერატურო გაზეთი

1933 წ. 24 მარტი | საქ. საბჭ. მწერლ. კავ. ათდღიური გაზეთი | № 7 (33) ფასი 30 კ.

საბჭოთა დრამატურგიის გზები და ამოცანები

ამხ. ა. ვ. ლუნაჩარსკის მოხსენებიდან —

საბჭოთა მწერლების ორგკომიტეტის სრ. საკავშირო მეორე პლენუმზე

დრამატურგიას სრულიად განსაკუთრებუ-
ლი ადგილი უჭირავს ლიტერატურაში. ყო-
ველ დროში, როცა კლასობრივი ბრძოლა
მწვავდება, დრამატურგია დგებოდა პირველ
რიგში. და ეს იმიტომ, რომ თუ მთელი
ლიტერატურა ემსახურება კლასობრივ ბრძო
ლას, ყველაზე აქტიურად ამას აკეთებს
დრამატურგია თეატრის საშუალებით. ჩვენ
ეს მშვენივრად გვესმის და ჩვენ არ შეიძ-
ლება გამოვიჩინოთ გულგრილობა ამ გან-
საკუთრებული ძალის მიმართ. თეატრი
თვალსაჩინოა, მეტის მეტად თვალსაჩინოა
და ამიტომაც მეტად ემოციონალურია.
გარდა ამისა, იგი პირდაპირ მოქმედობს
ხალხ კოლექტივებზე, ერთნაირ შთაბეჭდი-
ლებებში, ერთნაირ გრძნობებში ჰხვევს
ათეულ ათას ადამიანებს. ყოველივე ეს
გვავალებს ყოველ მხრივ ავამაღლოთ სო-
ციალისტური ხელოვნების ზეგავლენა მა-
სებზე, განსაკუთრებული ყურადღება მივაქ-
ციოთ თეატრს.

რადგან სოციალისტური ხელოვნება ცდი-
ლობს გამოხატოს მოვლენები მათ მიმდინა-
რეობაში, მათ კონფლიქტებსა და პროგნო-
ზებში, რომლებიც იქიდან გამომდინარეო-
ბენ, ამიტომ არც ერთი სხვა მხატვრული
ფორმა იმდენათ არ შეესაბამება სოციალის-
ტური რეალიზმის მოთხოვნებს, რამდენად
დრამა. ამასთან ჩვენთვის თავის თავად ცხა
დია, დრამატურგიული კონფლიქტების კლა
სობრივი ხასიათი. ეს კონფლიქტები შეიძ-
ლება ხდებოდეს ცალკე პირებს შორის, შე-
იძლება ხდებოდეს ერთი და იმავე პირში,
დიალოგსა ანუ მონოლოგში. მაგრამ თუ
თქვენ ხედავთ მომქმედი პირის გულში ორ
სულს, ეს არის სხვადასხვა სოციალურ
იდეების სხვადასხვა აღნაგობის გრძნობების
ბრძოლა და ის შეესაბამება ბრძოლის მო-
ნაწილე სხვადასხვა კლასების ამა თუ იმ
იდეებსა და ბრძოლებს. შეიძლებოდა, ამ
თვალსაზრისით გავვეხილა ხელოვნების მრა
ვალი უდიდესი ნაწარმოები და ჩვენ ყო-
ველთვის აღმოვაჩენდით ამას. ასეთი გა-
მოკვლევა — ჩვენი თეატრისმცოდნეობის
და ლიტერატურისმცოდნეობის ერთ-ერთი
ამოცანაა.

ამასთან დაკავშირებით მე მინ-
დოდა წამომეყენებია ერთი საკითხი,
რომელიც ჩვენ ნაკლებად არ გვა-
ღელვებდა. ერთ დროს ხშირად ლა-
პარაკობდნენ, რომ ხელოვანმა კერძოთ დრა-
მატურგმა, კარგათ უნდა შეისწავლოს დია-
ლექტიკური მატერიალიზმი მხატვრულ შე-
მოქმედებაში და შემდეგ ამის მიხედვით
სწეროს. რასაკვირველია, საკითხისადმი
ამ მიდგომა, სავსებით სწორი არ არის. პი
რველ ყოვლისა, სწორი არ არის ვიფიქ-
როთ, თითქოს სოციალისტური რეალიზმი
მისაწვდომია მხოლოდ იმ ადამიანებისა-
თვის, რომლებიც სავსებით დაეუფლებიან
დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსო-
ფიის ცოდნას. ეს ნიშნავს გამოვაცალკე-
ვოთ მწერალთა მცირე ჯგუფი, რომელთაც
ჩინებულად შეუსწავლიათ მარქსიზმის ფი-
ლოსოფია და რომელთა მიმართ ყველა და-
ნარჩენი მწერლები აღმოჩნდებიან გარის-
ხულ მდგომარეობაში.

მწერლის შემოქმედება, რასაკვირველია
შეიძლება დაემყაროს მარქსიზმ-ლენინიზმის
სავსებით შესწავლილ თეორიას, მაგრამ ხომ
შეიძლება წარმოვიდგინოთ ადამიანი, რო-
მელსაც გატაცებით სურს იბრძოლოს და
გმირულად იბრძვის კიდეც სოციალიზმისა-
თვის, მაგრამ ძალიან ცოტა რამ გაეგება
დიალექტიკურ მატერიალიზმის, გვაძლევს
რა მხატვრულად სოციალისტურ რევოლიუ-
ციას, რომლის პრაქტიკამ იგი მთლიანად
ჩაითრია, მწერალს შეუძლია ინსტიქტიუ-
რად გამოამჟღავნოს ჩვენი სინამდვილის
მრავალი მნიშვნელოვანი თვისება. მას ჩი-
ნებულად გაეგება, თუ რა ბრძოლა სწარ-
მოებს, ამ ბრძოლაში იგი გარკვეულ მხა-
რეზე სდგას, მაგრამ ფილოსოფიურად იმ-
დენათ გათვითცნობიერებული არ არის,
რომ ჰქონდეს უფლება გამოაცხადოს პრე-
ტენზია ცხოვრების მთელი მოცულობის
სრულ გამოსახვაზე, რის საშუალებასაც
დიალექტიკური მატერიალიზმი იძლევა. ასე
რომ მწერალი სწერს უშუალო მეთვალყუ-
რის უბრალოებით, მაგრამ როცა მისგან
დაწერილი მიდის პროლეტარულ შტაბში,
— ჩვენ პარტიაში, იგი შეიძლება აღმოჩ-
ნდეს ჩინებული და მხატვრული ნახევრად-
ფაბრიკატი-ზუსტი დიალექტიკურ მატერია-
ლისტური დასკვნებისათვის.

ამგვარად აქ სოციალისტური რეალიზ-
მის ლიტერატურის შიგნით შეიძლება არსე
ბობდეს მეტის-მეტად დიდი გრადაციები.
რასაკვირველია, ძალიან კარგია, თუ მწე-
რალი დაეუფლა დიალექტიკურ მატერია-
ლიზმს სოციოლოგიისა და ფილოსოფიის
დარგში. უნდა მივესალმოთ თვითეულს,
ვისაც შესწევს უნარი და შესაძლებლობა
დაეუფლოს ამ მეთოდს. მაგრამ ეს სრუ-
ლიად იმას არ ნიშნავს, რომ ხელოვანმა
პირველ ყოვლისა მთელი თავისი დრო
შესწიროს იმას, რომ მოიფიქროს, თუ რო-
გორ წერს დიალექტიკური მატერიალიზმის
მეთოდით, და შემდეგ დაიწყოს წერა. ის
ხელოვანიც კი დაუშვებს შეცდომებს, რო-
მელიც ჩინებულად დაეუფლება სოციალო-
გიისა და ფილოსოფიის დარგებს, თუ კი
იგი შემოქმედების პროცესში ეცდება არც
ერთი წუთით არ დაივიწყოს დიალექტიკუ-
რი მატერიალიზმის ცალკე დებულებები.

ჩვენში განსაკუთრებით გავრცელებული
იყო ტრიადის ფეტიშიზაცია, ფეტიშიზაცია,
რომელსაც ასე დასცინის ლენინი თავის
„ხალხის მეგობრებში". მეირინგს აქვს ძა-
ლიან კარგი ზღაპარი ერთ ორმოცფეხზე.
მოგეხსენებათ, რომ ორმოცფეხა საკმაოდ
რთული არსებაა. მას აქვს ორმოცი ფეხი,
მაგრამ მიუხედავათ მისი ასეთი სირთულე-
სა, იგი მაინც ჩინებულად ასრულებს თავის
სასიცოცხლო ფუნქციებს. და აი ერთხელ
ბაყაყი გამზეში შეეკითხა მას: „როცა შენ
პირველ ფეხს სდგამ წინ, კიდევ რომელი
შენი ფეხები მიჰყვებიან მას? და როცა შე
ნი მეთოთხმეტე და მეცხრამეტე ფეხი მუხ-
ლში იკეცება, რას შვრება მაშინ შენი ოც-
დამეშვიდე ფეხის ტერფი? ორმოცფეხა ისე
ჩაფიქრდა ამ კითხვამ, რომ სრულიად ვე-
ღარ შესძლო სიარული (სიცილი, ტაში). არ
უნდა გამოვეტოვოთ შემოქმედებითი პროცე
სი. თქვენ გინდათ თქვენი სოციალისტური
სინდისის თვალსაზრისით აღზრდილი ესა თუ
ის პროცესი, გინდათ გამოხატოთ ბრძოლის
უმნიშვნელო ან წარმატაცი აქტი? — ნუ თუ
თქვენ უარი უნდა სთქვათ ამ ამოცანაზე,
თუ არ იცით, როგორ გააკეთოთ ეს „დია-
ლექტიკური მატერიალიზმის საშუალებით"?
სწორეთ, ამხანაგებო, ასე გაგებული დია-
ლექტიკური მატერიალიზმის გარეშეც. მთა
ვარია, გაქონდეს რევოლიუციონური გრძნო
ბა, რევოლიუციის ძირითად ამოცანების გა
გება ამა თუ იმ ეტაპზე, ნამდვილი მხატვ-
რული ალღო, რომ ჩვენ გვექნეს უნარი
ვსწეროთ ისე, რომ ნამდვილად ავაღელ-
ვოთ მკითხველი და სწორად გადავცეთ მას
ჩვენი აზრები და ჩვენი გრძნობები. რასა-
კვირველია, ამისათვის საჭიროა ცოდნა,
ცოდნა იმ რევოლიუციონური პრაქტიკის,
რომელიც გახდა ბაზად მარქსიზმ-ლენინიზ-
მის ფილოსოფიისათვის და რომელიც ამ-
დენ ძალას იძენს ამ ფილოსოფიისა-
გან; ამ ცოდნის გარეშე არ შეიძლება სწო
რად გამოვხატოთ სინამდვილე.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა
გვაინტერესებდეს, თუ როგორ იჩენდა
თავს, ან ჰქრებოდა დიალექტიკური მატე-
რიალიზმი, როგორ ვითარდებოდა, როგორ
სიცოცხლით სცოცხლობდა და სცოცხლობს
იგი მხატვრულ შემოქმედებაში. ამ პრობ-
ლემის დამუშავებას ძალიან დიდი მნიშვნე-
ლობა აქვს. და, რასაკვირველია, დიალექტი
კური მატერიალიზმის დაუფლება ძალიან
ბევრს მისცემს ხელოვანს, თუ ეს დაუფლე
ბა სეთანადოთ აღზრდის მის აზროვნებას
და მთლიან მსოფლმხედველობას. თუ კი
თქვენ ამის ნაცვლად ჩაიციდებით თვი-
თეულ პუნქტს, თვითეულ სახეს, მიუდგე-
ბით მათ მაინცდამაინც დიალექტიკური მა
ტერიალიზმის მოთხოვნებით, ამით თქვენ
დაემსგავსებით იმ გმირს, რომელმაც
გზა კვალი აუბნია ორმოცფეხას.

დრამატურგიის ამოცანები ძალიან დი-
დია და დიდია მისი შესაძლებლობანიც.

ჩვენ არ მიგვაჩნია ე. წ. დრამატიული
ჟანრები რაიმე შეურყეველ კატეგორიე-
ბად და არ ვფიქრობთ, რომ ჩვენმა დრამა-
ტურგიამ თავის შემოქმედების გზა გადუ-
ლობოს სხვადასხვა ჟანრებს. ჯერჯერობით
არა თუ ტრაგედია, კომედია და დრამა შე-
იძლება შეერწყან ურთიერთში, არამედ დრა
მაშიც შეიძლება არსებობდეს ეპოქისა და
ლირიკის ელემენტები. მიუხედავათ ამისა,
შეიძლება ვიხმაროთ ძველი ტერმინოლო-
გია გამოსავალ პუნქტად, და დავსვათ სა-
კითხი: შეიძლება თუ არა არსებობდეს სო
ციალისტური ტრაგედია?

არა თუ შეიძლება, არამედ უნდა არსებო
ბდეს. მარქსი ამბობს: წარსული საუკუნეე
ბის უდიდესი ტრაგიკოსები გამოხატავდნენ
წარმავალი კლასის, დაღუპვის გზაზე დამ-
დგარ კლასის წამებას. ახალი დროის ტრა-
გიკოსები გამოხატავენ ახალი ქვეყნის დაბა
დების წამებასა. წარსულში ჩვენ გვყავს
უდიდესი წინამორბედნი, გვაქვს შესანიშნა
ვი თემები ტრაგედიისათვის. ავიღოთ ისე-
თი გმირები, როგორიც არის ტომას მიუნ
ცერი, რომელიც იმდენად შორს წავიდა,
რამდენსაც ამის საშუალებას სინამდვილე
აძლევდა და, რომელიც ეყრდნობოდა მაში
ნდელი საზოგადოების ყველაზე მოწინავე
ელემენტებს. მარქსი და ენგელსი ეუბნებო-
დნენ ლასალს: ტრაგედიისათვის უნდა აგე-
ღო არა ზიკინგენი, არამედ მიუნცერიო.
რატომ არ უნდა მოკიდოს ხელი ჩვენ დრა
მატურგმა მიუნცერის ტრაგედიას, რატომ
არ უნდა გვიჩვენოს მან პირვანდელი გლე-
ხური და პროლეტარული რევოლიუციის
გმირების გმირული დაღუპვა, რატომ არ
უნდა გვიჩვენოს არა ციდან ჩამოვარდნილი
გმირი, არ ადგილ-მიწას მოწყვეტილი გენიო-
სი, არამედ კლასის, იმ კლასის გმირი, რო-
მელსაც მაშინ არ ეწერა გამარჯვება. მაგ-
რამ რომლის ნაწილობრივი დამარცხება,
როგორც მარქსი ლაპარაკობდა პარიზის კო
მუნაზე, წარმოადგენდა შემდგომი გამარ-
ჯვებების უდიდეს საწინდარს. რამდენათ ახ
ლოა — ჩვენ დროსთან ეპოქა, რომლიდა-
ნაც აღებულია ასეთი გმირი, მით უფრო
ფუჭია მისი დაღუპვა, მით უფრო ახლოა მი
სი სინამდვილე კლასობრივი ბრძოლის იმ
დასასრულთან, რომელსაც ჩვენ ასე დაუახ-
ლოვდით.

მაგრამ ჩვენს დროშიაც არ არის
მთლად აღკვეთილი ტრაგიკულობის
ელემენტები, რადგან საჭიროა მსხვე-
რპლი არა მარტო სამოქალაქო ომის
დროს, საჭიროა მსხვერპლი ძველი და ახა-
ლი ქვეყნის შორის ამჟამად მიმდინარე კლა
სობრივი კონფლიქტების დროს. მუდამ დღე
ეწირება მსხვერპლი ბრძოლას იმ შინაური
მტრებთან, რომლებიც ეხლა გაფართოებულ
წინააღმდეგობას გვიწევენ, რომლებიც შე-
მძვრალან რა ახალი ყოფა-ცხოვრების სო-
ციალისტურ ფორმებში, ლამობენ დაამა-
ხინჯონ მისი შინაარსი. სწარმოებს ნამდვი-
ლი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, ჩვე
ნი ამოცანები ჩვენი ძალებისათვის შეიძლე
ბა დაუძლეველი აღმოჩნდეს, თუ ეს ძალე-
ბი საკმაოდ არ იქნა დაძაბული. ამიტომ ამ
ბრძოლის მსხვერპლთა შექება ძლევამო-
სილ ბრძოლის მსხვერპლთა დახატვა — ეს,
თქმა არ უნდა, უმნიშვნელოვანესი ამოცა-
ნაა და დიდებული დასაყრდენი — ჩვენი
თანამედროვე ტრაგედიისათვის.

რა უნდა ვსთქვათ თანამედროვე კომე-
დიაზე? ერთმა ჩვენმა თეორეტიკოსმა განა-
ცხადა პროლეტარიატისათვის უცხოა იუმო
რიო. მართლაც რა არის იუმორი? ეს არის
სიცილი შემამსუბუქებელი, ეს ისეთი გან-
წყობილებაა, როდესაც გაცინებს და ამავე
დროს სიბრალულს გვგვრის ის ვისაც დასცი
ნით ანუ, თუმცა გაცინებს, მაგრამ უნდა შე
ხვიდე მის მდგომარეობაში და მიუტევო
და აი — ამბობდა ეს თეორეტიკოსი მხდალ,
წვრილ წვრილ ბურჟუაზიას უნდოდა რა
გაცინება, ამიტომ, მისთვის საჭირო იყო
არა სატირა, არამედ იუმორი. პროლეტარია
ტი კი დაუნდობელია, ის თუ იცინის, თა-
ვის სიცილით ჰკლავს მოწინააღმდეგეს
სასიკვდილოთ.

იმ კლასების მიმართ, რომელსაც პროლე-
ტარიატი ზრდის, იმ ელემენტების მიმართ
პროლეტარიატის შიგნით, რომლებიც ძი-
რითადად კარგი არიან, მაგრამ რომლებსაც
აქვთ ნაკლი, იუმორი გამოსწორების მშვე-
ნიერ საშუალებას წარმოადგენს. ამიტომ
იუმორისტული კომედია, საალერსო - სა
ტირული კომედია, რომელიც აღნიშნავს
ნაკლს, და გვასწავლის, თუ როგორ აღ-
მოვფხვრათ იგი,—არის სარკე ადამიანის—
წინ, მაგრამ არა ისეთი სარკე, რომელიც
შიდ მაყურებელს შეაშინებს და ჩამოსა-
ხრჩობათ თოკს მოაძებნინებს, არამედ ისე-
თი, რომელიც მაყურებელს დაანახვებს,
რომ საჭიროა პირის დაბანა და წვერის გა-
პარსვა.

მეტად მნიშვნელოვანია საკითხი თეატრისა
და დრამატურგიის ურთიერთობის შესა-
ხებ.

რა არის დრამატურგია? დრამატურგია
—ლიტერატურის ნაწილია. რა არის ჩვენ-
თვის მხატვრული ლიტერატურა? ეს აზ-
როვნების, შეგრძნობის და შემოქმედების
მეტად მნიშვნელოვანი გარკვეული საზო-
გადოებრივი აქტია. საზოგადოება ამ აქტში
თავის გარკვეულ წარმომადგენლების თავის
გარკვეული აგენტების საშუალებით, რო-
მელთაც საამისო უნარი შესწევთ, ახდენს
თვითშეცნობის, თვითგასამართლების, თვით
ორგანიზაციის აქტს. ეს უდიდესი შეგნებუ-
ლი სოციალური აქტია.

ასეთია დრამატურგია. ხოლო რა არის
თეატრი?

თეატრი თავის თავად, თეატრი, როგორც
ასეთი (უდრამატურგიოთ),—არის დაწესე-
ბულება იმ მიზნით შექმნილი, რომ სპექტა-
კლის ორგანიზაციის გზით საზოგადოებაზე
მოახდინოს, რაც შეიძლება, მეტი შთაბეჭ-
დილება.

„იდეალური თეატრი", — ეს ისეთი თეა-
ტრია, რომელსაც არსებითად შეუძლია გამო
ხატოს, რაც გნებავთ, ყველაფერი ისე,
როგორც კარგ გრამაფონს: რა ფირფიტასაც
დასდებთ, იმას დაუკრავს. თუ იგი მართ-
ლაც კარგია, კარგათ დაუკრავს, თუ ცუდი
—ცუდათ, მაგრამ თეატრი ისე მარტივი არ
არის, როგორც გრამაფონი, და მას, რასა-
კვირველია, შეუძლია თავისი ტეხნიკური და
გამომსახველობითი საშუალებებით გადაამუშაოს
ის რასაც მას აძლევს დრამატურგია. მაგ-
რამ შეუძლია თუ არა მას თვითონვე გან-
საზღვროს ამოცანები? არა, არ შეუძლია.
ამოცანების განსაზღვრა — ეს დრამატურ-
გიის ერთ-ერთი ფუნქციაა.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ თეატრი-
სათვის — სულ ერთია, თუ როგორი მუშა-
ობა სწარმოებს ჩვენი დრამატურგიის განვი-
თარებისათვის, რომ სტანისლავსკის თაი-
როვს, ანუ რევოლიუციის თეატრს შეუ-
ძლიათ სთქვან: „ჩვენ ვართ ფორმის მუშა-
კები, ჩვენ ვაძლევთ დრამატურგიას საბო-
ლოო ფორმას, დამთავრებულ ფორმას—
მაშ მოგვეცით თეატრალური ღირსების
პიესა, რომ შევსძლოთ მისი საინტერესოდ
შესრულება". მაპატიეთ, მაგრამ ეს ასე არ
არის. საბჭოთა შეგნება უნდა წარმოადგენ-
დეს მთლიან ჩვენი სამხატვრო ფრონტის
არსებითი თვისებას, თეატრი ერთი სიცოც-
ხლით უნდა სცოცხლობდეს საბჭოთა რევო-
ლიუციონურ დრამატურგიასთან და ხელს
უწყობდეს მის ზრდას.

საზოგადოებრივი კლასობრივი შეგნება,
რომელიც მოქმედობს დრამატურგიის საშუ-
ალებით, იძლევა იმას, რასაც ჩვენ შეგვი-
ძლია ვუწოდოთ მიმდინარე ათწლეულის,
მიმდინარე წლის დრამატურგიული ლიტე-
რატურა. თეატრი ცდილობს აამაღლოს საბ-
ჭოთა ხასიათი იმისა რაც ხაზგასმულია, რა-
საც ხაზი უნდა გაესვას, მიიტანოს რაც
შეიძლება უკეთ მაყურებლამდე იქ დამარ-
ხული საგანძური ან გამოასწოროს შეცდო-
მები. ამ მხრით თეატრმა და დრამატურგიამ
უნდა დაამყარონ ერთმანეთთან გარკვეული
ურთიერთზედმოქმედება.

ენგელსი პირდაპირ ლაპარაკობს, რომ
არა მარტო ინსტრუმენტები იქმნებოდა იმი-
ტომ, რომ კომპოზიტორი ჰქმნიდა ამა და
ამ ნაწარმოებს, არამედ ძალიან ხშირად
კომპოზიტორი ჰქმნიდა ახალ ნაწარმოებებს,
იმიტომ, რომ იქნებოდა ახალი ინსტრუმენ-
ტები. ენგელსი პირდაპირ ამბობს, რომ კა-
პიტალიზმის განვითარება ფეხდაფეხ მიჰყვე-
ბოდა ტეხნიკურ გამომგონებლობასო, რო-
ცა დრამატურგმა იცის თეატრი, მაშინ იგი
თავის შემოქმედებისათვის აღმოაჩენს მრა-
ვალ შესაძლებლობას. არ შეიძლება იყო
კარგი დრამატურგი, თუ არ იცი თეატრი,
ისე, როგორც არ შეიძლება იყო ღირსეული
კომპოზიტორი, თუ არ იცი მუსიკალური
ინსტრუმენტები. ამ თვალსაზრისით საჭიროა
შეიქმნეს გარკვეული ურთიერთზედმოქმედე-
ბა, მაგრამ მუდამ მტკიცედ უნდა გვახ-
სოვდეს, რომ დრამატურგია, როგორც
სოციალური შინაარსი, არის ის, რასაც
ჰქმნის საბჭოთა თეატრი; საბჭოთა თეატრი,
როგორც მოვლენა ფორმალური, არის ის,
რამაც საბჭოთა დრამატურგია უნდა გა-
ხადოს, შეიძლება მეტყველ ხელოვნებად.
რასაც თეატრი იძლევა ახალ ფორმას,
ეს ძალიან კარგია, მაგრამ, ამისათვის სა-
ჭიროა გარკვეული ურთიერთზედმოქმედე-
ბა, რომელშიაც შეიძლება წამყვანი იქნეს
მხოლოდ სოციალური შინაარსი, მაგრამ
არავითარ შემთხვევაში—ფორმა.

დრამატურგი, რაც შეიძლება, უნდა დაუ-
ახლოვდეს თეატრს, რომ თეატრი თავის
მუშაობის საბოლოო შედეგამდე გრძნობდეს
დრამატურგის თანამშრომლობის სიღრმეს,
რომ ამასთან თეატრს ახსოვდეს, რომ დრამა,
—სოციალური შინაარსი არის წამყვანი
საწყისი და თეატრი ვალდებულია მას შე-
ეგუოს.

საბჭოთა დრამატურგიის ამოცანები არ
შეიძლება არ იყოს საჭიროებოროტო ხასიათის
ამოცანები, მაგრამ საჭიროა დიდი დაკვირ-
ვებით გავერკვეთ ამ თეზისში. ნამდვილი,
დიდი მხატვრული ნაწარმოები იშვიათად
თუ ნაჩქარევად შემოქმედება. მართალია,
გრილპარცერმა თავისი საუკეთესო პიესა
„საფო" დასწერა ოც დღეში, ხოლო ის პი-
ესები, რომლებსაც იგი მეტხანს სწერდა,
ხარისხით უარესი გამოდგა, მაგრამ ყოველ-
თვის ეს ასე როდი ხდება, ამისათვის საჭი-
როა შემოქმედებითი თავისებურება, რომელ
საც ავტორებში იშვიათად ვხვდებით, საერ-
თოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ
მწერალი დაწერილს რამდენიმეჯერ წაი-
კითხავს, შეამოწმებს და გადააკეთებს ისე,
რომ ყველაფერს თავისი ადგილი ქონდეს.
მაგრამ ცხოვრება მიქრის, და ჩვენი დრამა-
ტურგები ხშირად ამბობს: სად არის დრო
ბოლომდე დავამუშაო — მე უნდა მქონდეს
შინაგანი „კოდაკი". გავჰკრავ ხელს — მზად
უნდა იქნეს, რომ თეატრს ჩავაბარო. თუმცა
სრულყოფილი ვერ იქნება, მაგრამ სამაგი-
როთ იქნება ახალი, ცინცხალი.

ხშირად ჩვენი კრიტიკოსების ნაკლს წარ-
მოადგენს მათი ჰორიზონტის სივიწროვე.
ყველაფერი, რაც ვიწრო ჩარჩოებს გარეთ,
დევს, მათ არა სწორად მიაჩნიათ. საჭი-
როა გვქონდეს იმდენად ფართო ჰორიზონ-
ტი, დავინახოთ ამოცანების მთელი მრავალ-
ფეროვანება.

შეიძლება წარმოვიდგინოთ მცირე ფორ-
მების ისეთი თეატრი, რომლებიც სალამოთი
გვიჩვენებს იმას, რაც მოხდა დილით; შე-
იძლება წარმოვიდგინოთ ცოცხალი კომედია
და დრამა, რომლებიც გამოსახავენ ყოველ
ჩვენ დღეს.

ჩვენი საბჭოთა დრამატურგიის მაღალი
თვისება ისიც არის, რომ მას აქვს სწრაფი
მუშაობის უნარი. ამ ამოცანას ჩვენ გვერდს
ვერ აუხვევთ.— ჩვენ გვესაჭიროება ასეთი
დრამაც.

მაგრამ რა უნდა ჰქმნან მწერლებმა, რო-
მლებიც დიდ სერიოზულ ნაწარმოებზე
მუშაობენ? ნუთუ მათი ხვედრი უნდა იყოს
ყოველთვის ჩამორჩენ თანამედროვეობას?
არა, ამხანაგებო, ეს ასე არ არის. როცა მა-
ტარებლით მიდიხართ, ლიანდაგთან დაყრი-
ლი პატარა კენჭები ახლო გარბიან და
გვეჩვენებიან ერთ გაბმულ ძაფად. ხოლო
ნაყარი, ანუ ხეები ჩვენ თვალწინ გარბიან,
ისე, რომ ვხედავთ მათ კონტურებს, იქით
კი სჩანან მთები, რომლებიც ძალიან დიდ-
ხანს რჩებიან ხედვის არეში, რადგან ისინი
დიდი არიან, რადგან ისინი ბატონობენ
მთელს მიდამოში. პრობლემები, რომლებიც
გაბატონებული არიან მიმდინარე წელში,
მიმდინარე ათწლეულში, მიმდინარე საუკუ-
ნეში, მრავალია და ჩვენც მათზე უნდა მივა-
პყრათ ჩვენი შემოქმედებითი ყურადღება.

ამ თვალსაზრისით მეტად დიდი მნიშვნე
ლობა აქვს შევიგნოთ, რომ საერთო ამოცა
ნები, რომელზედაც მე ვლაპარაკობდი, გა
ნისაზღვრებიან, კონკრეტულდებიან თავი-
სებურად დროის ყოველ ნაკვეთში. მე ვამ
ბობ, არა დღევანდელი დღის კონკრეტულ
ამოცანებზე, ამ სიტყვის საკუთარი მნიშ-
ვნელობით, მე ვლაპარაკობ დროის იმ ნა-
კვეთის ამოცანებზე, რომელშიაც ჩვენ
ვცხოვრობთ, იმ ბრძოლის ეტაპის ამოცა-
ნებზე, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით.

პირველ ყოვლისა, ჩვენ ვიმყოფებით
მტრებთან კონფლიქტების განსაკუთრებულ
ფაზაში მეტის მეტ ნერვიულობას იჩენს
მსოფლიო კაპიტალიზმი. მართალია, მას
ცალი ფეხი სამარეში უდგას, მაგრამ ენერ
გიულად და გააფთრებით იბრძვის და
ეძებს გამოსავალს თავისი მძიმე მდგომა-
რეობიდან. უნდა გავიგოთ, რასაც ამბობდა
ლენინი. ფატალურად გამოუვალი მდგომა
რეობა არ არსებობს თუ მტერი ცუდ მდგო
მარეობაშია, თუ იგი სულს ღაფავს, არ
იფიქრო, რომ სულ ერთია, ის მაინც მო-
კვდება, ჩაეცი ლახვარი, წინააღმდეგ შე-
მთხვევაში შეიძლება ის გადარჩეს სიკვდი-
ლს და თვით შენ მოგკლას.

ჩვენ მუდამივ ბრძოლაში და არა უბრალო
კონტემპლაციაში ვიმყოფებით, ამიტომ რო
დესაც ჩვენი ქვეყანა ტანჯვით ვითარდება
ხოლო მათი ქვეყანა ტანჯვით კვდება,
ჩვენ ეს უნდა გამოვსახოთ დრამატიუ-
ლად. განა შეიძლება სხვა რამე იქნეს დრა
მატიულად ამაზე უფრო ეფექტიანი: ბრძო
ლისაკენ ჩვენი მტერი ნებაყოფლობით
იარაღს არ დაყრის, შეიძლება მას ეს ია-
რაღი ხელიდან გაუვარდეს იმ მომენტში,
როცა მას ჩვენზე აღმართავს, მაგრამ შე-
იძლება ეს ასე არ მოხდეს, ხოლო კონ-
ფლიქტს ასე თუ ისე ადგილი ექნება. ეს
არის ჩვენი თავდაცვითი ხელოვნების ამო-
ცანა. თავდაცვითი ხელოვნება, ვამბობ არა
მარტო იმ მნიშვნელობით, რომ იგი მომსა-
ხურეობას უწევს ჩვენი თავდაცვის სახე-
ლოვან და მთავარ იარაღს—წითელ არმიას
არა, სოციალისტური მშენებლობის მთელი
ჩვენი ტემპი—ესეც ფრონტია.

არ შეიძლება, სტალინის კომუნისტური
პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუ-
მი ან სხვა რომელიმე დიდი საბჭოთა ან პა
რტიული ყრილობა, რომლის შესახებ დრა
მატურგს შეეძლოს სთქვას: იქ ისინი პოლი
ტიკაზე მსჯელობენ მე კი ვამთავრებ ჩემს
დრამას,—საერთოდ ეს არ არის ჩემი საქმე,
ჩემი მუნდირის ღილები სხვაგვარი. როდე
საც პარტია სიგნალს იძლევა ძირითად სა
სიცოცხლო მომენტებზე, ეს არის პროლე-
ტარული ბრძოლის მთელი ფრონტისათვის
მიცემული სიგნალი.

ჩვენი ცხოვრება, განსაკუთრებით ჩვენი
სოფლის, კოლექტიური სოფლის ცხოვრე-
ბა ჯერ კიდევ არ გაწმენდილა უცხო კუ
ლაკური ელემენტებისაგან, რომლებიც
მთელს ჩვენს ქვეყანაში მიმოფანტულან,
და როგორც მიკრობები, ავრცელებენ მოა-
რულ ავადმყოფობას. სოციალისტურ კო-
ლექტიურ სოფლის გამარჯვებისათვის
ბრძოლაში მონაწილეობა—ჩვენი დრამატუ
რგიის ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანაა.
ჩვენ ვიცით ეს მიკრობები, ეს —გამხრწნე-
ლი კერძო საკუთრებაა. ეს არის ბრძოლა
იმისათვის, რომ, რაც შეიძლება, უკეთესი
კერძო მივიღოთ ჩვენთვის, ჩვენი ოჯახისა-
თვის, თუნდაც ეს მთელი კოლექტივის სა-
ზარალოთ ხდებოდეს, ჩვენი მთავარი მტე-
რი, თავისი მოცულობით უზარმაზარი, —
კაპიტალისტური სახელმწიფოები, ბანკები,
ტრესტები, — ამბობს: „უმაკმა ნუ იცის
მათი თავი, უკვე ხუთმეტი წელიწადია ბო-
ლშევიკებისათვის ვერაფერი მოგვიხერხე-
ბია, მაგრამ მათ მათ აქვს შინაური გადა-
მდები ავადმყოფობა, იქ არის ჩვენი უნცრო
სი ძმა, იგი მათ შორის სცოცხლობს შენი-
ღბული სახით, ყველაფერს სწამლავს, ყვე
ლაფერს ხრწნის თავის გარშემო. ამ მტე-
რის გამომჟღავნება, მისი დრამატურგიუ-
ლად გამოსახვა კომედიებსა და დრამებში,
მისი ოინების მისი ნიღაბის, მისი დროებო-
თი წარმატებების მოცემა, გამოსახვა
მისი დაღუპვის აუცილებლობის, რის-
თვისაც ჩვენ დაგვჭირდება ძალების უდი-
დესი დაძაბვა, ფსიქოლოგიური განჭვრე-
ტა, გაგება იმის, რა ხდება მტრის გულში,
გაგება იმის, რასაც იგი ლაპარაკობს არა
იმისათვის, რომ გამოთქვას თავისი აზრი,
არამედ დამალოს იგი, — ეს არის მხატვა-
რის საქმე ეს არის სოციალისტურ მხატ-
ვარ-ფსიქოლოგის საქმე.

კლასობრივად მტრული ძალებს უპირდა-
პირდება მასების ზრდის პროცესში მყოფი
სოციალისტური შეგნება: ის ღრმა გარდა-
ტეხა, რომელიც ამჟამად იხატება როგორც
ძალების ნამდვილი შემკრები ცენტრი,—
ეს არის სოციალისტური საკუთრების ზრდა,
ზრდა იმ შეგნების, რომ სოციალისტური
მეურნეობის განმტკიცება ნიშნავს ყოვე-
ლი ჩვენგანის გამდიდრებას. მე მდიდარი
ვარ, რადგან მდიდარია რესპუბლიკების
კავშირი. მე ეხლა მიშენებენ მაგნიტო-
გორსკს; მე ვგრძნობ სასიცოცხლო პლიუსს
და მინუსს იმის მიხედვით, თუ როგორ წა-
რმატებას და მარცხს განიცდის სოციალის-
ტური მშენებლობა. ამის მიხედვით მე ვე-
ტანჯები და მიხარია, ამიტომ ვსწირავ მას
ჩემს სიცოცხლეს. ადამიანები, რომლებიც
უკვე ახლა ამჟღავნებენ სოციალისტურ შე
გნების ნიმუშებს, უნდა დავაყენოთ უმაღ-
ლეს მწვერვალზე, რომ მათი მაგალითი
შეელოდეს იმ ადამიანთა სოციალისტურ
დაბადებას, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ
განთავისუფლებულან ძველი მონური
გრძნობების, აზრების და ჩვევების მძიმე
ტვირთისაგან.

ენგელსი იყო კარგი კომუნისტი; ისიც
ოცნებობდა იგი ამბობდა: ვოცნებობ ისეთ
დრამატურგიულ ნაწარმოებებზე, რომლე-
ბიც იქნება სავსე სიცოცხლით, ისე როგორც
შექსპირის მართალი, ამაღლებული, დამა
ჯერებელი ნაწარმოებები, მაგრამ რომლე
ბიც მეორე მხრით გამჟღავნებული იქნება
იმ ისტორიული პერიოდის ღრმა შეგნე-
ბით, რომლებსაც ისინი გამოხატავენ. ამ
ნაწერის ენგელსი დასძენს: „ალბათ ასეთ
ნაწარმოებს მოგვცემს არა გერმანია".

დიახ, ალბათ ასეთ ნაწარმოებს ყველაზე
ადრე მოგვცემს არა გერმანია, არამედ ჩვე
ნი ქვეყანა, რამდენიმედ ჩვენ უკვე და-
უახლოვდით ამ მომენტს.

როგორც თვითეულ თქვენგანს მოეხსენე-
ბა, ჩვენ წარმოვადგენთ ფრონტის ერთ
უბანს, სოციალიზმისათვის მებრძოლთა ერთ
რაზმს. ამ ფრონტს დაფრიალებს გამარჯვე
ბის დროშები, ერთფერთ დროშაზე ამხ.
სტალინის ხელით წარწერილია: „ბრძოლა
მეცნიერებისა და ტეხნიკისათვის".

დრამატურგიამ უნდა იბრძოლოს მეცნი
ერებისათვის, რადგან თუ დრამატურგიამ არ
იცის სინამდვილე იგი იქნება ზერელე და
არ ეყოფა სიღრმეები. დრამატურგია უნდა
იბრძოდეს ტეხნიკისათვის, რადგან სხვანაი-
რად იგი ვერ იქნება სინამდვილის გამომხა
ტველი, ვერ იქნება ნამდვილი შემოქმედი.
ჩვენ ვიბრძვით მეცნიერებისა და ტეხნიკი-
სათვის იმ მიზნით, რომ ავამაღლოთ ჩვენი
სპეციფიური სფეროს დონე და ჩავაყენოთ
იგი სოციალიზმის საერთო სამსახურში.

მომავალში, როცა მოპოვებული იქნება
საბოლოო გამარჯვება, ჩვენი ჩამომავალნი
უდიდესი პატივისცემით გადაფურცლავენ
ჩვენი ცხოვრების ისტორიის წიგნს და
დე მაშინ მათ წინაშე ჩვენი გა-
რდამავალი ეპოქის ძეგლებად აღი-
მართონ არა მარტო ჩვენი მოაზროვნეების
და ბელადების იდეები, არა მარტო ჩვენი
მასების გამარჯვებანი, არა მარტო ჩვენი
სოციალისტური შრომით შექმნილი ტეხნიკა,
არამედ ჩვენი მხატვრული ნაწარმოებებიც,
ჩვენი დრამებიც, რომლებიც მაშინაც დაიდ
გმებიან თეატრებში, რომ თვით ეპოქის ხმით
მოუთხრონ ჩამომავლობას ამ ეპოქის დიდი
ამბები (მქუხარე ტაში).

ამხ. ი. მ. გრონსკის საბოლოო სიტყვა

საბჭოთა მწერლების ორგკომიტეტის სრ. საკავშირო მეორე პლენუმზე

ამხანაგებო, თუ ჩვენ შევაჯამებთ პლენუ-
მის საერთო შედეგებს, პირველყოვლისა,
უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ საფუძვლიანად
წინ წავიწიეთ ჯგუფობრიობის დაძლევის
საქმეში, განსაკუთრებით რ.ს.ფ.ს.რ-ში. თუ
საქმე ასე გაგრძელდა, ჩვენ საბჭოთა მწერ-
ლები ყრილობაზე მივალთ ერთ მთლიან
არმიათ გაერთიანებული. მართლაც, მთა-
ვარი ჯგუფი, რომელიც ჩვენ გვქონდა
რ.ს.ფ.ს.რ.-ში და რომელსაც ჩვენ დავეჯა-
ხეთ პირველ პლენუმზე,—„რაპპ"-ელთა
ჯგუფი შესამჩნევად დაძლეულია, აქა-იქ
ნამსხვრევები კიდევ არსებობენ, მაგრამ
ერთი მონოლიტური, შინაგანი დისციპლი-
ნით განმტკიცებული ჯგუფი, ორგკომიტე-
ტის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფი უკვე
აღარ არსებობს.

რამდენადაც მე ვიცი, უკრაინაში დაახ-
ლოვებით ისეთივე მდგომარეობაა, როგორც
რ.ს.ფ.ს.რ.-ში.

ბელორუსიაში ჯგუფობრიობის რაღაც
ნამსხვრევები კიდევ არსებობენ, თვით ის
ამხანაგებიც კი, რომლებიც ბელორუსიის
ორგკომიტეტში მუშაობდნენ, ცდილობდნენ
თავისი ჯგუფის ხაზის გატარებას. მოგეხსე-
ნებათ, რომ აქედან ბელორუს ამხანაგებს
არაფერი გამოუვიდათ. ალბათ, თქვენ ყვე-
ლამ წაიკითხეთ ბელორუსიის ორგკომიტე-
ტის პრაქტიკის შესახებ „პრავდა"-ში მო-
თავსებული წერილი. ამ წერილს საფუძვ-
ლიანად უნდა ჩავუფიქრდეთ. რა დაგვანახვა
ჯგუფური ხაზის გატარების პრაქტიკამ
ბელორუსიის ორგკომიტეტში? მან გვიჩვენა,
რომ ამხანაგები, რომლებიც ჯგუფობრიო-
ბის გზას ადგებიან, აუცილებლად იწყებენ
ქანაობას და ჰკარგავენ ორიენტაციას; სი-
ფხიზლე, რომელიც ესოდენ საჭიროა ჩვენ-
თვის ლიტერატურაში ისე, როგორც ჩვენი
მუშაობის სხვა დარგებში, ჩლუნგდება და
ამასთან ჩლუნგდება საკმაოდ საფუძვლია-
ნად.

საქართველოსა, აზერბეიჯანსა და სომ-
ხეთში (განსაკუთრებით სომხეთსა და აზერ-
ბეიჯანში) ჯგუფობრიობა ჯერ კიდევ და-
ძლეული არ არის. ეს დაგვანახვა საკავ-
შირო ორგკომიტეტის პლენუმმა. მრავალი
ამხანაგი ცდილობს განაახლოს თავისი შეც-
დომები, მაგრამ ამხანაგების საკმაო რიცხვი
საქართველოშიც და აზერბეიჯანშიც ლა-
მობს დაიცვას თავისი ძველი შეცდარი
შეხედულებები. ეს ამხანაგები ჩვენ უნდა
გავაფრთხილოთ, რომ შეცდარი შეხედუ-
ლების დაცვას შეუძლია ისინი სწორ გზას
ააცდინოს. ამიტომ, ჩემის აზრით, ჩვენ სწო-
რად მიუთითეთ ა.-კ. რესპუბლიკების ორგ-
კომიტეტების შესახებ გამოტანილ რეზოლი-
უციაში ყოველგვარი ჯგუფობრიობის წი-
ნააღმდეგ ბრძოლის გაგრძელების საჭირო-
ებაზე. რამდენადაც ამხანაგები ჯიუტობენ,
რამდენადაც ისინი ლამობენ შეინარჩუნონ
ძველი შეცდარი პოზიციები, იმდენად
უფრო ძლიერი ცეცხლი უნდა დავანთოთ
მათი მიმართულებით. უბრძოლველად ჩვენ
ჯგუფობრიობას ვერ გადავლახავთ, განსა-
კუთრებით იქ, სადაც ჯიუტობენ. საკავ-
შირო ორგკომიტეტის პლენუმი კარგი გა-
ფრთხილება იყო საქართველოს, აზერბეიჯა-
ნისა და სომხეთის ამხანაგებისათვის და მე
ვფიქრობ, რომ ისინი, რომლებიც ცუდი
საბჭოთა მწერლები არ არიან, გააკეთებენ
თავისთვის სათანადო დასკვნებს, ბოლოს
მოუღებენ ჯგუფობრიობას, ჩადგებიან საბ-
ჭოთა მწერლობის რიგებში, რომ ჩვენთან
ერთად, საერთო ძალით, აიყვანონ საბჭოთა
ლიტერატურა ისეთ სიმაღლეზე, რომელ-
ზედაც არ მდგარა მსოფლიოში არც ერთი
ქვეყნის არც ერთი ლიტერატურა. ჯგუფობ-
რიობა აფერხებს ჩვენს ლიტერატურულ
ზრდას, იგი ხელს უშლის მდიდარი ლიტე-
რატურის შექმნას, ჩვენ კი ეს ლიტერატუ-
რა გვესაჭიროება, პარტიამ ჩვენ დიდი
ნდობა გამოგვიცხადა და, თუ ჩვენ ჩვენი
პარტიის და ჩვენი ბელადის ამხ. სტალინის
ამ ნდობას არ გავამართლებთ, მაშინ ჩვენ
არაფრათ არ ვვარგებულვართ. თქვენ ხომ
მოგეხსენებათ, რომ ჩვენი პარტიის ცენტ-
რალურ კომიტეტს საფუძვლიანად აინტე-
რესებს ლიტერატურის საკითხები. თქვე-
ნ იცით, რომ „სოციალისტური რეალიზმის"
ლოზუნგი წამოყენებულია და დასაბუთებუ
ლი ამხ. სტალინის მიერ ჩვენი ლიტერატუ
რის მუშაკებთან საუბრის დროს. თქვენ მო-
გეხსენებათ, აგრეთვე, რომ პრესის მნიშვნე-
ლობაზე ჩვენ მიგვითითა ამხ. სტალინმა
მწერლებთან გამართულ კრების დროს. მან
განაცხადა, რომ პრესა წარმოადგენს ჩვენ-
ის ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელო-
ვან და ყველაზე საჭირო დარგს".

პირველ პლენუმზე ჩვენ ვიბრძოდით სო-
ციალისტური რეალიზმის დანერგვისათვის,
ჩვენ ვლაპარაკობდით აგრეთვე იმის შესა-
ხებ, რომ არ შეიძლება უკუვაგდოთ სოცი-
ალისტური რომანტიზმი, რომელიც ჩვენში
აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს წითელ
რევოლიუციონურ რომანტიზმს. ეს დებულე
ბაც წამოყენებულია ამხ. სტალინის მიერ.
მეორე პლენუმზე ჩვენ ვიბრძვით დრამატურ
გიის მნიშვნელობის დანერგვისათვის.

ამგვარად, როგორც ხედავთ, ჩვენ ვატა-
რებდით ჩვენი პარტიის ხაზს, ვიბრძოდით
ჩვენი ბელადის ამხ. სტალინის მითითების
გატარებისათვის, და აი ის ნდობა, რომელიც
ჩვენდამი გამოიჩინა პარტიამ, ის ნდობა,
რომელიც ჩვენდამი გამოიჩინა ჩვენი პარ-
ტიის ბელადმა ამხ. სტალინმა, რათაც არ
უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავამართლოთ. რო-
გორ შეგვიძლია გავამართლოთ ჩვენ ეს
ნდობა? რასაკვირველია, არა ჯგუფობრიო-
ბით, რომელიც აფერხებს ლიტერატურის
განვითარებას, არა კინკლაობით, რომელსაც
მიმართავენ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები,
არა დეკლარაციებით, რომლებსაც ჩვეულე-
ბრივ მწერლები ძალიან ცუდათ სწერენ,
არა საერთო ლაპარაკით საზოგადოებრივი
მუშაობის შესახებ,—არა, ამით შეუძლიათ
მწერლებს დაანახვონ პარტიას, რომ ისინი
აღიარებენ, რომ ისინი ფეხდაფეხ მიჰყვე-
ბიან მუშათა კლასს, რომ ისინი იბრძვიან
სოციალისტური საზოგადოების აშენებისა-
თვის; მათ შეუძლიათ ყოველივე ეს დაანა-
ხონ მხოლოდ ერთი რამით: თავისი ნაწარ-
მოებებით! ჩვენ დასკვნებს გამოვიტანთ
მწერლის მუშაობის შესახებ მისი ნაწარმო-
ებების და არა სხვა რამის მიხედვით. ძვირ-
ფასო მწერლებო, ძვირფასო დრამატურგე-
ბო, პარტიას ელაპარაკეთ ნაწარმოებებით
(ხანგრძლივი ტაში).

ჩვენ არ მოვითხოვთ თქვენგან წერით
„აგიტკებს", რომლებიც უმალვე კარგავენ
თავის მნიშვნელობას, ვიდრე დაიბეჭდებიან.
ჩვენ მოვითხოვთ თქვენგან ისეთ ნაწარმოე-
ბებს, რომლებიც იცოცხლებენ თქვენს შემ-
დეგაც და გაუძლებენ საუკუნეებს; ისეთ
ნაწარმოებებს, რომლებიც მხატვრული ღირ-
სების მხრივ აჯობებენ საუკეთესო ნაწარ-
მოებებს, რომლებიც კი შეუქმნიათ ბურჟუა
ზიის მწერალ - მხატვრებს, ჩვენ მოვითხოვთ
თქვენგან დიდ ხელოვნებას.

ჩვენში უკვე ჩნდებიან ნაწარმოებები, რო-
მლებიც შეიძლება მიეკუთვნოთ დიდ ხე-
ლოვნებას. ალბათ ყველას წაკითხული
გაქვთ შოლოხოვის „გატეხილი ყამირი"
ეს — 1932 წელს გამოქვეყნებულ ნაწარმოე
ბებს შორის საუკეთესო ნაწარმოებია, ეს
ერთ-ერთი იმ საუკეთესო ნაწარმოებთაგა-
ნია, რომელიც კი ჩვენი რევოლიუციის 15
წლის განმავლობაში გამოქვეყნებულა.
როგორ დასწერა შოლოხოვმა ეს ნაწარ-
მოები? რამ მისცა მას ძალა დაეწერა ეს
ნაწარმოები?

მოგეხსენებათ, რომ შოლოხოვი ადგი-
ლობრივ სწავლობს ჩვენს სოფელს. არც
ჯგუფურ ბრძოლაში, არც კინკლაობაში
ის არ მონაწილეობს, არამედ ასრულებს
პარტიის დირექტივას, სწავლობს საკოლმე-
ურნეო წყობილების განმტკიცებას და თავის
მუშაობით ადგილობრივ ხელს უწყობს
ამ განმტკიცებას. და აი სოციალისტური
განვითარების გზაზე დამდგარ სოფლის შე-
სწავლის შეერთება მუშათა კლასისათვის
ერთგულ თავდადებასთან, სოციალისტური
წყობილების განმტკიცებისათვის მთელი
ძალითა და ყოველგვარი საშუალებებით
ბრძოლის სურვილთან — აი ამან მისცა შო-
ლოხოვს შესაძლებლობა ასულიყო ამ სი-
მაღლეზე და დაეწერა „გატეხილი ყამირი".

1932 წელს ჩვენში გამოქვეყნდა მეორე
ძალიან დიდი ნაწარმოები, ეს არის ა. ს.
ნოვიკოვ-პრიბოის „ცუსიმა". ნოვიკოვ-პრი-
ბოი საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდა-
დებული კარგი უპარტიო მწერალია. მან
დასწერა მართალი ამბავი ცარიზმის ისტო
რიის ერთ განსაზღვრულ ნაკვეთზე, ძალიან
პატარა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან
ნაკვეთზე, და გამოვიდა დიდი მხატვრული
ღირებულების ნაწარმოები.

ჩვენ გვაქვს მესამე გვარის ნაწარმოები—
პილნიაკის „ოკეი". პილნიაკი ძველი მწე-
რალია, იგი იხრებოდა ტროცკისტებისაკენ.
ტროცკისტების გავლენით დასწერა უმსგავ-
სო ნაწარმოები „წითელი ხე". ჩვენ იგი
გავკიცხეთ. მწერლებმა მას ზურგი უბრუ-
ნეს. ჩვენ — ბოლშევიკებმა კი, გადავს-
წყვიტეთ გვეცადა, იქნება რამე გამოსუ-
ლიყო და გავგზავნეთ პილნიაკი შუა აზია-
ში. მივიღეთ მისგან „ტაჯიკური ნარკვევე-
ბი". შემდეგ იგი გაემგზავრა უცხოეთში,
დაჰყო უმთავრესად ამერიკაში და თავისი
იქ ყოფნის შემდეგ დასწერა ნაწარმოები,
რომელშიდაც სიმართლით, აღწერა კაპიტა-
ლისტური ქვეყნების, უმთავრესად ამერი-
კის მდგომარეობა. გამოვიდა ძალიან კარგი
ნაწარმოები.

შემდეგ პილნიაკმა იმოგზაურა იაპონია-
ში და უკვე დასწერა ნაწარმოები იმ მასა-
ლის მიხედვით, რომელიც მან იქ შეაგროვა.
გზა და გზა მან ზარუდინთან ერთად მოგვ-
ცა ნარკვევები „რკინის ტუნდრის" შესახებ,
ნარკვევები, სადაც პილნიაკი ბრძოლას უც-
ხადებს თავის მონათესავე წრეს იმ მიზნით,
რომ დაეხმაროს საბჭოთა ხელისუფლებას
ტუნდრებში წამოჭრილი საკითხების გადა-
წყვეტაში.

დღეს მე შევხვდი პილნიაკს და ზარუ-
დინს — „პერევალის" ხელმძღვანელს. საუ-
ბარში პილნიაკმა მითხრა (ვფიქრობ, არ
გამიწყრება, თუ გადმოვცემთ ჩვენი საუბ-
რის ნაწილს): „ვიყავი იაპონიაში, დავსწერე
წიგნი, ამ დღეებში წარმოვადგენ. ამ წიგნ-
ში წინადადებას ვიძლევი გამორიცხოთ ბიბ-
ლიოთეკებიდან „იაპონური მზის ფესვები",
როგორც უვარგისი ნაწარმოები, ხოლო მწე-
რალი, რომელმაც ეს ნაწარმოები დასწერა,
პასუხისგებაში მისცეთ უცოდინარობისა-
თვის. თუ შენ, მწერალს არ გესმის საკით-
ხი, ან არ მოგიფიქრებია იგი ბოლომდე,
საჭიროა არ დასწერო. მე პილნიაკი კი ამას
ჩავდიოდი. სწორედ ამისათვის უნდა მივე-
ცე პასუხისგებაში. ამას ვამბობ მე ჩემს
ახალ წიგნში. მე შევიგნე, რომ ეხლა უნდა
ვიარო ბოლშევიკებთან ერთად, ხოლო თუ
არ ვიარ, უნდა ავიკიდო გუდა-ნაბადი. წი-
ნააღმდეგ შემთხვევაში არაფერი გამოვა.
მწერალმა, თუ კი მას უნდა მწერლად დარ-
ჩეს, უნდა იაროს ბოლშევიკებთან ერთად
ბოლომდე, თუ იგი ამაში არ გარკვეულა,
თუ მას ეს საფუძვლიანად არ შეუთვისებია,
იგი ვერაფერს ვერ შექმნის. თუ გინდა
იყო მწერალი, უნდა იბრძოლო ბოლშევი-
კებთან ერთად სოციალიზმისათვის"ო.

აი რა მითხრა პილნიაკმა.

სამწუხაროდ, იგი გაემგზავრა კოლომნაში
და ამიტომ ვერ გამოვიდა პლენუმზე.

ზარუდინი მელაპარაკა „პერევალის" შე-
სახებ, იმის შესახებ, რომ ეს ჯგუფი სრუ-
ლიად დაიშალა, დაიშალა შეგნებით მთელ
რიგ პრინციპიალური უთანხმოების გამო.
ეს მოვლენა სავსებით კანონზომიერია, და
პარტიის ც. კ.-ის მიერ ლიტერატურაზე გა-
მოტანილ რეზოლიუციის შემდეგ წარმოა-
დგენს დადებით ფაქტს. „პერევალის" მწერ
ლებმა ძირითადში ბევრი რამ ისწავლეს
და სრულიად არ სურთ ჩამოაყალიბონ ჯგუ-

გაგრძელება მე-2 გვ.

საბჭოთა მწერლების ორგკომიტეტის სრულიად საკავშირო მეორე პლენუმზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზე ვმუშაობთ

ამჟამად მოვათავე რომანი: „უკანასკნელი გადასარჩენი", რომელიც წარმოადგენს ჩემი უწინდელი ნაწერების („დაფანტული ფურცლები", „ეკლიან გზაზე" და „ქვა და რკინა") გაგრძელებას და დასასრულს.

შევუდექი დიდი სამ წიგნიანი რომანის წერას: „შავი ქვა". ამ საწარმოების მოსრულებას დასჭირდება დაახლოებით სამი-ოთხი წელი.

ქიათურის [illegible] თავიდანვე იყო ბოლშევიზმის ერთი [illegible] ციხე-სიმაგრე მენშევიზმის, რომელიც შედარებით ადვილად [illegible] თავის მიმდევრებს სოფლის წვრილ-ბურჟუაზიულ მასაში, მეტადრე სოფლის შეძლებულ ნაწილში, მენშევიზმი, რომელიც იპყრობდა ისეთი „პროლეტარიატის" თანაგრძნობასა და სიყვარულს, როგორიც იყვნენ მას ჟამთა შინა ქუთაისის „პრიკაშჩიკები",—ამ მენშევიზმმა ქიათურის ვიწრო ხეობაში ფეხი ვერ მოიკიდა.

აქაური სამრეწველო მუშების მოწინავე რაზმს წინ უძღოდნენ რჩეული ბოლშევიკები თვით ამხანაგ **კობას (სტალინის)** მეთაურობით.

მენშევიკების ბატონობის დროს ქიათურის მუშებს იარაღი არ დაუყრიათ, მენშევიკებისათვის ერთგულება არ გამოუცხადებიათ და კვლავ იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

დღესაც იბრძვის ქიათურის მუშა, იბრძვის სოციალიზმის შენებისათვის და ის შავ-ქვას, რომელსაც ის აწვდის სოციალისტურ მშენებლობას, თან ახლავს ქიათურელ მებრძოლ ბოლშევიკ-მუშების ფოლადისებური რწმენა და უტყუარი იმედი, რომ ლენინის დროშით ჩვენ სოციალიზმს არა თუ ვაშენებთ, არამედ კიდეც ავაშენებთ. აი ეს ამბავი მინდა მოვაქციო ჩემს: **„შავ-ქვაში"**.

პ. მ. საყვარელიძე.

1921—[illegible] წლებში დაწერილი ჩემი ლექსების კრებული სათაურით „ჩემი სიტყვა" გამოსცა საქართველოს სახელგამმა. შარშან ჩემი ახალი პოემაც „მუშები ჩვენში და შრომის გმირი ხოშტარია" იბეჭდება ჟურნალ „მნათობში", ამჟამად ვამზადებ ლექსების ახალ კრებულს.

დ. მეგრელი.

ძნელია წინასწარ თქმა, თუ რაზედ მუშაობს მწერალი. პირადად მე ხშირად [illegible] თემის ნაცვლად, სხვა თემა ამეტუზება წინ. მაშ ტყუილუბრალოდ რაზედ უნდა მესიტყვო გაფიქრობა და მკითხველი ვალოდინო? რა ვიცი, რომელი წიგნი რომელს დაასწრებს! მიყვარს მოულოდნელობა და განცვიფრება. მოულოდნელობა იქნება ის, რომ წიგნს არ დავპირდები მკითხველს და იჩქითად გამოვა ბაზარზე; განცვიფრება კი ის იქნება, თუ ვიტყვი, რომ ამჟამად ვმუშაობ მეტად სანიაზო და ხელუხლებელ თემაზე.—ეს თემაა:

1. **„ქართული იუმორის ისტორია"**.
2) მასალებს ვკრებ და ვამზადებ აგრეთვე სხვა წიგნს — **„ქართული თეატრის ისტორია"**.
3) მკითხველი ალბათ ელის დაპირებულს წიგნს **ალექსანდრე ჭავჭავაძეზე** (აკადემიური გამოცემა). ამას დიდი ისტორია აქვს. მოკლეთ ვიტყვით: ეს წიგნი ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო დაგვიანდა. ამ ჟამად კი, თუ ავადმყოფობამ ხელი არ დამრია, ამ წიგნს ამ თვის დამლევს, სუფთად გადაწერილს, ჩავაბარებ სახელგამს.
4) პარალელურად ვმუშაობ „საბჭოთა ქართულ დიდ ენციკლოპედიისათვის" და ვადგენ **ბიბლიოგრაფიას** ყველა იმ მხატვრულ ნაწერებისას, რაც ამ ასი წლის განმავლობაში ითარგმნა ქართულ ენაზე, როგორც რუსულიდან, ისე უცხოურიდან. (ვინ სთარგმნა, სად დაიბეჭდა და სხვ.).
5) ვთარგმნი სპარსულიდან **ომარ ხაიამის** რუბაიებს.
6) გამზადებული მაქვს დასაბეჭდად: **„ქალაქის ლექსიკა"** (ხუთი ათასზე მეტი სიტყვა იქნება, რომელიც ლექსიკონებში არ არის შესული. — სხვათა შორის, ამ ლექსიკონში მოთავსდება ძველი ხელოსნების ყველა ხელსაწყო იარაღების ტერმინები).
7) დასასრულ უნდა განვაცხადო, რომ სურვილი მაქვს ჩემი 25 წლის მწერლობის თავზე, საკუთარი რედაქციით, გამოვცე ჩემი ნაწერების სრული კრებული, რომელიც ჯერ-ჯერობით ცხრა ტომადა მაქვს გამიზნული.

რომელი წიგნი როდის დაიბეჭდება, ძნელია ამის თქმა. ამიტომაც არის, რომ არც ერთ გამომცემელთან არა ვდებ პირობას.

ი. გრიშაშვილი.

სახელგამის საბავშო სექციის დაკვეთით ვმუშაობ **როზა ლუქსემბურგის** ბიოგრაფიაზე მოზარდებისათვის. წიგნი იქნება დამუშავებული მხატვრულად. ამავე დროს ვმუშაობ იმავე სექციის საჟურნალო მასალებზე.

სახელგამი ბეჭდავს და მოკლე ხანში გამოუშვებს ჩემი ძველი საბავშო მოთხრობების კრებულს.

მიმქრალი.

ჯგუფობრიობის დაძლევის გზით ახალი შემოქმედებითი გამარჯვებისაკენ

ამხ. ს. ეულის მოხსენებიდან

მომხსენებელი აცნობს პლენუმს ლიტერატურული მოძრაობის ისტორიას საბჭოთა საქართველოში, ეხება ბრძოლას ლიტერატურულ ფრონტზე ძალების რადიკალური დაჯგუფებისათვის და წინაპირობებისათვის საბჭოთა ლიტერატურის შესაქმნელად, ბრძოლას, რომელშიაც უდიდესი როლი შეასრულა პროლეტმწერალთა ასოციაციამ. საქ. პროლეტმწერალთა ასოციაცია თანმიმდევარ შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა ქართული მწერლების რეაქციური ბანაკის წინააღმდეგ, რამაც დააჩქარა მწერლობის დიფერენციაციის პროცესი და საუკეთესო ნაწილის გადასვლა მუშათა კლასის მხარეზე. უნდა ითქვას,—ამბობს ამხ. ს. ეული, რომ საქ. პრ. მწერ. ასოციაცია სრულიად სამართლიანად ითვლებოდა საკავშირო პროლეტმწერალთა ორგან. გაერთიანების მოწინავე რაზმად, მაგრამ „რაპპის" შეცდომებმა მაინც მოიკიდა ფეხი საქ. პრ. მწერ. ასოციაციის პრაქტიკაშიც. უკანასკნელ ეტაპზე საქ. პრ. მწერ. ასოციაცია უკვე აფერხებდა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას. ასოციაციის ხელმძღვანელობა საქ. მწერლობაში ატარებდა „რაპპ"-ს მიერ გადმოსროლილ ძირეულად ანტი-ლენინურ ლოზუნგებს. ფსიქოლოგიზმის, ცოცხალი ადამიანის, ჰარმონიული ადამიანის თეორიები, დიალექტიკურ მატერიალისტური შემოქმედებების ლოზუნგი არა სწორ მიმართულებას აძლევდნენ კრიტიკისა და ლიტერატურის განვითარებას და ჰქმნიდნენ სერიოზულ დაბრკოლებას მხატვრული ლიტერატურის ზრდისათვის, საქ. პრ. მწერ. ასოციაში განსაკუთრებით ფეხი მოიკიდა ჯგუფობრიობამ. ჯგუფობრიობის სენმა შეიპყრო პროლეტარული კრიტიკაც, რასაც მოჰყვა მნიშვნელოვან მწერლების შეუფასებლობა, ზოგიერთი მათგანის შეგნებული დისკრედიტაცია, ხოლო ზოგიერთებს კიდევ გადაჭარბებული შეფასება. საქ. პრ. მწერ. ასოციაციის ხელმძღვანელობა გაურბოდა თვითკრიტიკას და ხშირად ვარდებოდა ბიუროკრატიზმში, დამკვიდრებოდა მწერლობაში გაწევრის და მასიური ლიტერატურის მოძრაობის საკითხები მკვდარ „კაზიონურ" ლოზუნგებად გადაიქცა. უპარტიო მწერლებთან იდეური ალიანსი შეცვალა ზევიდან ბრძანებლობის და უხეში ადმინისტრატორობის მეთოდმა. კლასობრივ მტრებად იქნენ გამოცხადებული მწერლები, რომლებიც თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ, ასეთი პოლიტიკა ხელს უშლიდა უპარტიო საბჭოთა მწერლების დაახლოებას მუშათა კლასის პოზიციებზე და აფერხებდა თვით პროლეტ-ლიტერატურის იდეურ-მხატვრულ ზრდას.

შემდეგ მომხსენებელი პლენუმს ფართოდ აცნობს იმ ღონისძიებებს, რომელიც საქ. საბჭოთა მწერლების საორგანიზაციო კომიტეტმა და შემდეგ კავშირმა მიიღო საქ. პრ. მწერალთა ასოციაციის მიერ ჩადენილი შეცდომების გასასწორებლად და ერთგულად ჩატარდება საქ. საბჭოთა მწერლების დღევანდელ შემოქმედებითი მუშაობაზე.

რასაკვირველია, საქართველოს საბჭოთა მწერალთა ასოციაციის მიერ დაშვებულ [illegible] ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევქმენით ყველა საჭირო პირობები საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი ზრდისა და განვითარებისათვის. ჩვენ ჯერ კიდევ სავსებით ვერ მოვგვიწყვეტია გეგმა მასიური ლიტერატურული მოძრაობის საკითხები, შემოქმედებითი საკითხებიც არ დამდგარა ჩვენი ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში. ამ ნაკლის დასაძლევად ჩვენი ორგანიზაცია ითვალისწინებს პრაქტიკულ ღონისძიებებს, მაგრამ ამ ამოცანების გადაჭრას წინ ეღობება საქ. პრ. მწერ. ასოციაციის ხელმძღვანელობიდან დარჩენილი ჯგუფობრიობის ნაშთები. ამ ჯგუფიდან, ზოგიერთი ამხანაგები გამოვიდნენ თავისი შეცდომების კრიტიკით და მონაწილეობენ კავშირის მუშაობაში (ასეთია მაგალითად, ამხ. შ. რადიანი), მაგრამ ყველა ამხანაგებს როდი გაუკრიტიკებიათ ბოლომდე თავის შეცდომები, ამიტომ კავშირის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს იმ ხელმძღვანელ ჯგუფის ნაშთების ლიკვიდაცია, რომელსაც მეთაურობს ამხ. **ბუაჩიძე**. აგრეთვე აშკარა ჯგუფობრიობას იჩენენ ამხანაგები, რომლებიც გაერთიანებული არიან ე. წ. „მომემარცხენო" ჯგუფში ამხ. **ქიქოძის** მეთაურობით. ამ ამხანაგებმა ვერ გაიგეს პარტიის ც. კ. დადგენილების მთავარი აზრი. ჩვენი კავშირი ღებულობს ყოველგვარ ზომებს, რომ დაარწმუნონ ამხანაგები მათი შეხედულებების შემცდარობაში და ჩააბას ისინი პრაქტიკულ მუშაობაში, მაგრამ ისინი დღემდე ჯიუტობენ.

ჩვენი კავშირის პირველმა გაფართოებულმა პლენუმმა კატეგორიულად მოსთხოვა მათ ან დაესაბუთებინათ თავისი შეხედულებები, ან ეცნოთ თავისი შეცდომები და უარეყოთ ჯგუფური მუშაობა. მაგრამ ამ ამხანაგებმა აჯგუფეს არ [illegible] პლენუმზე. ეს მოწმობს იმას, რომ ისინი განაგრძობენ ბრძოლას საბჭოთა მწერლების კავშირთან, რომელიც ანხორციელებს პარტიის ცეკას დადგენილებას. ჩვენი ამოცანაა—იდეურ საზოგადოებრივ ზეგავლენით დავძლიოთ მსგავსი მოვლენები და კავშირის მუშაობაში ჩავაბათ ჯგუფის წარმომადგენლები, ვინაიდან მათ შორის არიან ნიჭიერი პროლეტარული მწერლები.

ამხ. შ. დუდუჩავას გამოსვლა.

ამხ. დუდუჩავა თავისი სიტყვის დასაწყისში განმარტავს სოციალისტური რეალიზმის და რევოლუციური რომანტიზმის ცნებებს. ეხება რა საკითხს სოციალისტური ტრაგედიის შესახებ, ორატორი ამბობს, რომ იგი ჩვენთვის საჭირო არ არის. ყოველი ტრაგედია იქმნება იქ, სადაც არის ბრძოლა თავისუფლებისა აუცილებლობის წინააღმდეგ. ტრაგედია სჭირდებათ მხოლოდ სოციალური ასპარეზიდან მიმავალ კლასებს. მართალია ახალი ადამიანის და ახალი საზოგადოების დაბადება მოითხოვს მსხვერპლს, მაგრამ ეს არის არა ტრაგედია, არამედ გმირული დრამა, რადგან ეს მსხვერპლი გამართლებულია ისტორიული აუცილებლობით. ამ დებულების დასამტკიცებლად ამხ. დუდუჩავას მოჰყავს მაგალითი საქართველოს თეატრალური პრაქტიკიდან გადადის რა კომედიის საკითხზე ორატორი ამტკიცებს, რომ ეს ჟანრი უნდა არსებობდეს და ვითარდებოდეს, ამასთან კომედია უნდა შენდებოდეს არა უკვე დრომოჭმული მეთოდით—კონტრასტების პრინციპით. საბჭ. კომედიის გმირი უნდა გახდეს დადებითი გმირი, რადგან ამ შემთხვევაში სიცილი კლასობრივად გამართლებული იქნება. სატირულ ჰუმორში მახვილი მიმართული იქნება კლასობრივი მტრის წინააღმდეგ.

ამხ. მ. ჯავახიშვილის სიტყვა

საქ. ორგკომიტეტის მეორე პლენუმზე, 23 აპრილის ისტორიულ დადგენილების დღიდან სულ ათი თვე გავიდა. ამ დადგენილებამ ჩვენ უპარტიო მწერლები ეროვნული თავისუფლებით აღგვჭურვა, მაგრამ ამავე დროს დაგვაკისრა დიდი ვალდებულებები.

დადგენილებას მოჰყვა სხვადასხვა ჯგუფების შორის ურთიერთობის თანდათანობითი ხელი, მაგრამ მტკიცე გაუმჯობესება, რის გარეშეც შეუძლებელია გავაკეთოთ ის დიდი საქმე, რომელიც ისტორიამ დაგვაკისრა.

ბევრი რამ ითქვა აქ (და არა მარტო აქ) სატირიზმის და ეპოქალური შემოქმედების შესახებ. მე ვხედავ ამ ორ ცნების თორის გაუგებარ განსხვავებას ცხოვრებაში. ყველას როდი შეუძლია, და არცაა ვალდებული იყოს სატირიკოსი საკითხებზე მეტად, მაგრამ ყოველი საბჭოთა მწერალი ვალდებულია იყოს ეპოქალური.

ბევრი ითქვა აქ აგრეთვე სოციალისტურ რეალიზმზე. მე ვფიქრობ, რომ [illegible] ავტორი სცდება და [illegible], როცა მოითხოვს სოციალისტური რეალიზმის ზუსტად გაისაზღვრულ—მათემატიკურ ფორმულას. მე პირადად სოციალისტური რეალიზმი ჩინებულად მესმის, თვითონ მე—რეალისტი ვარ. უნდა გვახსოვდეს მხოლოდ რეალიზმის ერთის მხრივ აქვს ნატურალიზმი და მეორე მხრივ რომანტიზმი. ერთნაირი გადახვევა შესაძლებელია, მაგრამ გასაზღვრულ ფარგლებში, ისე მაგალითად, თუ რომანტიზმი არ იქნა მცირე დოზით მაინც, ისე წარმოუდგენელია გმირის შექმნა. მე ვამბობ—მცირე დოზით, თავისთავად ცხადია, აქ არ [illegible] ლაპარაკი იყოს იმ კლასიკურ რომანტიზმზე, რომელსაც ჰქონდა თავისი ეპოქა და რომელსაც მოსჭამა თავისი დრო, მგონია, ერთხელ და საბოლოოდ.

მე უკვე ვთქვი, რომ თავად რეალისტი ვარ. ოთხი წლის წინათ მე რეალურ ფორმებსა და ფერებში დავსწერე მოთხრობა „დამპატიჟე". მე ვერ განვსჭვრიტე ხვალინდელი დღე. მე ვერ მივხვდი და ჩავუგდი იმ გაკვეთულ მიზანს, რომელსაც ისახავს კოლექტივიზაცია, ამიტომ თავისი ფორმით ეს მოთხრობა თუმცა რეალისტურია, მაგრამ არსებითად იგი გამოვიდა სატირა, ბოროტი სატირა. ამისათვის მე დღემდე მიტევებენ და სამართლიანადაც მიტევებენ.

ამხ. კულიკი მოგვაგონათ, თუ გახსოვთ, რომ მე მწერალი გავხდი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. ეს სრული სიმართლეა. 30 წელიწადია მე ვწერ, მაგრამ ჯერ დიდი ხარვეზით, დაახლოებით ხუთმეტწლის ხარვეზით, ჩემი სამწერლო გზა მე საკმაო წარმატებით დავიწყე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე ჩამოვშორდი [illegible] და მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ —1924 წელს მწერლობა გავიხადე პროფესიად.

მე უზომოდ ვარ დავალებული საბჭოთა ხელისუფლებისაგან. მე ვგრძნობ ამ ხელისუფლებისადმი დიდ მადლობას და ჩემი მოვალეობაა ხორცი შევასხა ამ მადლობის გრძნობას—იმ სახით, რა სახითაც ჩემთვის არის მისაწვდომი, ე. ი. ლიტერატურული შრომის სახით. მე ვლაპარაკობ უფლებებზე. ჩვენ საბჭოთა მწერლებს, განსაკუთრებით ჩემი ასაკის მწერლებს, არა აქვთ უფლება განსაკუთრებით 23 აპრილის შემდეგ ჩაიდინონ შეცდომები ისეთი, როგორიც მქონდა პირადად მე.

ჩვენ ვალდებული ვართ ვიაროთ იმ ფართო სწორი გზით, რომელიც ჩვენ წინაშე დასახა საბჭოთა ხელისუფლებამ.

მეორე ვალდებულება, რომელიც ჩვენ გვაკისრია—უფრო და უფრო დავუახლოვდეთ იმ მოწინავე რაზმს, იმ გვარდიას, რომელიც აკეთებს თანამედროვე ისტორიას. მარადიულს დაეუფლება საქმეს, რომელიც არასოდეს არ ამოიშლება ისტორიიდან და რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, უთუოდ ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდება.

მე ვამბობ, რომ ჩვენ საბჭოთა მწერლები ჩვენს მოვალეობას ბოლომდე შევასრულებთ.

ამხ. ბ. ბუაჩიძის სიტყვა

ამხ. ბუაჩიძე თავის სიტყვას იწყებს იმის აღნიშვნით, რომ სავსებით ეთანხმება მომხსენებელს ამხ. ს. ეულს, როცა იგი ამბობს, ბუაჩიძე მეთაურობდა ჯგუფსო.

— მე ამას არ უარვყოფ, ამბობს ამხ. ბენ. ბუაჩიძე.

— მე ვმეთაურობდი საქართველოს და ამიერ-კავკასიის მწერლების იმ ხელმძღვანელობას, რომელიც ასრულებდა მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან ამოცანებს, ხელმძღვანელობას, რომელმაც თავის არსებობის უკანასკნელ წლებში გამოამჟღავნა ჯგუფობრიობის ელემენტები. მე გამოვედი სრულიად საკავშირო ორგკომიტეტის პირველ პლენუმზე და ვილაპარაკე ამ შეცდომებზე. ჩემი გამოსვლა ძირითადში მიმართული იყო ჯგუფობრიობის წინააღმდეგ. გარდა ამისა, მე დავსწერე ორი დიდი წერილი ამის შესახებ.

უპარტიო საბჭოთა მწერლები თავისი მუშაობით იმდენად ამაღლდნენ ახალ საფეხურზე, რომ მიუახლოვდნენ საბჭოთა ლიტერატურის ამოცანების რეალიზაციას. მწერლების ის ფრთა, რომელსაც ჩვენ წინათ უწოდებდით თანამგზავრებს და მოკავშირეებს, გაცილებით უფრო ფართოდ და ღრმად ეხებიან საბჭოთა ლიტერატურის ამოცანებს, ვიდრე ჩვენ წინეთ ვფიქრობდით. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ მათ მხოლოდ ახლა დაიწყეს ღრმად და ფართოდ მუშაობა. ასეთ მუშაობას ისინი წინადაც აწარმოებდნენ და ჩვენი შეცდომაც ის არის, რომ ჩვენ ამას ვერ ვამჩნევდით.

ხაზს უსვამ რა პროლეტარულ ლიტერატურის ზრდას, ამასთან მე კატეგორიულად მინდა აღვნიშნო, რომ ეს აბსოლუტურად არ ნიშნავს იმას, თითქოს პროლეტარულ ლიტერატურაში არ იყოს ჩამორჩენილი ფრთა, ჩამორჩენილი რგოლები, თითქოს ჩვენს პროლეტარულ მწერლობაში მხოლოდ და მხოლოდ წამყვანი მწერლები არიან, რომლებიც სდგანან საბჭოთა ლიტერატურის პირველ რიგებში.

განაგრძობს რა თავის სიტყვას ამხ. ბუაჩიძე ამბობს: ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ აღმოვფხვრათ ის ყოყოჩობა, რომელსაც მაგრად ჰქონდა ფესვები გადგმული ჩვენს წინანდელ მუშაობაში. წინათ ჩვენ ვერ მოვაგვარეთ როგორც საქმე პროლეტმწერალთა აღზრდის საქმე, პლენუმებზე ჩვენ მშვენიერ სიტყვებს ვამბობდით. მაგრამ ერთია პლენუმებზე ლაპარაკი, და მეორე—პროლეტმწერალთა აღზრდა—ყოველდღიური კრიტიკული მუშაობით, მათი აღზრდა იმ, რომ მათ იცოდნენ, სად იმალება საშიშროება, სად არის მოსალოდნელი ჩავარდნა და რა გზა დევს ყოველი პროლეტარული მწერლის წინაშე. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა უნდა წინ წამოსწიოს მწერლების ჩამორჩენილი ფრთები, უნდა ებრძოლოს „ლიტერატურშჩინას", [illegible] როლის მოწყვეტას თანამედროვეობის პოლიტიკური ამოცანებისაგან, მწერლობა ღრმად უნდა შეიჭრას ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობების ცხოვრებაში. მრავალი პროლეტმწერალი ამ მხრივ ჩამორჩენილია. აქაც ერთ-ერთი მიზეზი—მწერალთა დაბალი მარქსისტულ-ლენინური დონეა. როდესაც „რაპპ"-ი დაიშალა, ჩვენში—საქართველოში ასეთ ლაპარაკს გავიგონებდით: პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია ლიკვიდირებულია, მაშასადამე ლიკვიდაციაქმნილია პროლეტლიტერატურაც, ეს შეხედულება არ არის სწორი, მე იმის წინააღმდეგი ვარ, რომ მივაწეროთ საქარ. საბჭოთა მწერლების კავშირს ასეთი თვალსაზრისი, [illegible] ვფიქრობ, რომ იგი ამ თვალსაზრისს იზიარებს. მხოლოდ ცილისწამებას და წვრილბურჟუაზიულ ჯგუფობრიობას შეეძლო მიეყვანეთ ასეთ დასკვნამდე, მხოლოდ ამ ჯგუფობრიობის წარმომადგენლებს შეუძლიათ განაცხადონ, რომ საქ. საბჭოთა მწერლების კავშირი იზიარებს ამ განწყობილებებს და ლამის თვით იგი წარმოადგენს ამ განწყობილებების წყაროს. მაგრამ მთელ რიგ მწერლებში ასეთი განწყობილება იყო. მეორე მხრით ქართული „სალიტერატურო გაზეთი" მთელ რიგ შემთხვევებში ჩქმალავდა პროლეტარულ მწერლობის როლს, არ ამახვილებდა ყურადღებას პროლეტ-ლიტერატურის საკითხებზე.

შემდეგ ამხ. ბუაჩიძე ლაპარაკობს ე. წ. თანამგზავრების დიდ მხატვრულ ზრდაზე.

ეხება რა საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობას, ამხ. ბუაჩიძე აღნიშნავს დადებით მხარეებთან ერთად ამ მუშაობის ნაკლოვანებებს. ამხ. ბუაჩიძე ლაპარაკობს საბჭოთა მწერლების მიმართ დიფერენცირებული მიდგომის საჭიროებაზე, დღევანდელ კრიტიკულ გამოსვლებში ძმაბიჭური დამოკიდებულების დაუშვებლობაზე.

— ჩვენ გვაქვს ქართული ლიტერატურის წინსვლის უტყუარი მაჩვენებლები, მაგრამ კლასობრივი ბრძოლა განსაკუთრებით ახლანდელ ეტაპზე ძალიან მკაფიოდ მჟღავნდება. კლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობს მწერალთა შორისაც და ჩვენ ხელი უნდა მოვკიდოთ თვით საუკეთესო მწერალ-თანამგზავრების შემოწმებას იმ მიზნით, რომ ახალ ეტაპზე ისინი უფრო დაუახლოვდნენ პროლეტარიატის იდეურ პრინციპებს, რადგან ყველა მწერლებზე როდი შეიძლება ითქვას, რომ ისინი თანამედროვეობით მუშაობენ თავისი ხელ-ახალი იდეური შეიარაღებისათვის. კლასობრივ ბრძოლაში ჩვენ არ უნდა ვეძებდეთ საპლაკატო ჯგუფებს.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა მწერლების დელეგატების მოხსენებებიდან შთაბეჭდილება ისეთი რჩება, რომ ის მიღწევები, რომელიც საკავშირო ორგკომიტეტს აქვს ჯგუფობრიობის დაძლევის საქმეში, ამიერ-კავკასიის არა აქვს... ჯგუფობრიობა საერთოდ აფერხებს ჩვენი ლიტერატურის განვითარებას, უნდა დავამსხვრიოთ არა მარტო „მომემარცხენო", არამედ მემარჯვენე დაჯგუფებაც. ამ თავითვე უნდა აღმოიფხვრას ის ჯგუფები, რომლებიც ეხლა ისახებიან თუ ამ ჯგუფებს არ გავანადგურებთ ჩვენი წინსვლა შეფერხდება. მე კატეგორიულად ვილაშქრებ იმ ჯგუფობრიობის წინააღმდეგ, რომლებიც შეიცავენ წინანდელი ჯგუფობრიობის ნაშთებს. მე მზად ვარ დავეხმარო საქ. საბჭოთა მწერლების კავშირს ამ საქმეში.

ამხ. ბ. ჟღენტის სიტყვა

აქ ლაპარაკი იყო ისეთ საკავშირო ჟურნალის შექმნაზე, რომელიც გააშუქებს ყველა მოძმე ხალხების ლიტერატურის საკითხებს, ლაპარაკი იყო პერიოდული ალმანახის შექმნაზე. შემოქმედ კომბინირებულ ბრიგადების ურთიერთ მივლინების, ეროვნული ლიტერატურის თარგმნის მოწყობის საკითხებზე. ყველა ამ საერთო საკითხებს ფიქსაცია უნდა გაუკეთდეს და განახორციელოს საკავშირო ორგკომიტეტმა.

... ვიტყვი რამდენიმე სიტყვას ჯგუფობრიობის შესახებ. არც ერთ სალიტერატურო ორგანიზაციას არც რუსულს, არც უკრაინულს, არც ქართულს არ შეუძლიათ თავი მოიწონონ იმით, რომ მათ საბოლოოდ დაძლეული აქვთ ჯგუფობრიობა. აქაც კი —პლენუმზე ეს ცხადჰყო მთელ რიგ ამხანაგების გამოსვლამ, რომელიც აშკარად მოწმობდა ჯგუფობრიობის გარკვეული ნაშთების არსებობას. საჭიროა, ეს ამხანაგები ნამდვილად გარდაიქმნენ, ნამდვილად სცნონ თავის შეცდომები და დაგვეხმარონ ჩვენ შეცდომების გასწორებაში. ამხ. ბუაჩიძემ პლენუმზე კატეგორიული განცხადება გააკეთა და ამ მხრივ მისი გამოსვლა ჩვენთვის სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო. ეს განცხადება დასაფასებელია, მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ მის რეალიზაციას. ამასთან არ შეიძლება ამხ. ბუაჩიძის გამოსვლაში არ აღინიშნოს მის მიერ შეიძლება გაუთვალისწინებელი ელემენტები ჯგუფობრიობისა, ეს ელემენტები სჩანდა სიტყვის იმ ნაწილში, სადაც იგი ლაპარაკობდა საქ. პროლეტმწერლების მიღწევებზე და სადაც იგი ასახელებდა მხოლოდ თავისი ჯგუფის მწერლებს და მოუხსენებლად დასტოვა თუნდაც ისეთი მწერლები, ჩემის აზრით, არიან ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა მწერლები. ორიოდე სიტყვა „მომემარცხენო" ჯგუფზე. ამხ. ქიქოძე აქ კატეგორიულად უარყოფდა თავის ჯგუფურ მუშაობას, ამბობდა, რომ ჯგუფთან არაფერი საერთო არ მქონიაო, მაგრამ ქიქოძეს ერთი სიტყვითაც არ გაუკიცხავს ამ ჯგუფის ამხანაგები ჯგუფური მუშაობისათვის და აქ პლენუმზე აღიარებდა რა ამ ჯგუფის არსებობას, ერთი სიტყვაც არ ათქვა იმის შესახებ, რომ საჭიროა ჯგუფი დაიშალოს. ამხანაგები „მომემარცხენო" ჯგუფიდან არ სურთ ჩვენთან მუშაობა, არ სურთ დაგვეხმარონ, ხოლო ამხ. ქიქოძისგან არ იმჟღავნება, ეს არ არის კარგი.

უპასუხებს რა ზოგიერთი ამხანაგების შენიშვნებს, საქ. მწერალთა კავშირის მუშაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში არ ყოფილა მოცემული ქართული ლიტერატურის ანალიზი, ამხ. ჟღენტი აცხადებს:

ჩვენ აქ ვამზადებთ არა ერთ და ორ მოხსენებას. ჩვენ ჩავატარებთ მთელ ათდღიურს, რომლის დროსაც ჩვენ შევეცდებით გავაცნოთ მწერალთა და მკითხველთა საზოგადოებრიობას ჩვენი ლიტერატურის მთავარი მიმდინარეობანი.

ამხ. გრონსკის საბოლოო სიტყვა

ფობრიობას, რომელიც ხელს გვიშლის— გავიგოთ, თუ რა ხდება ჩვენში და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. არიან თუ არა სხვა მწერლები „პერევალში"? თუ კი ისინი არიან, ისინი საცოდავი ადამიანებია. თუ ისინი არ გარდაიქმნებიან, ისინი დაღუპული ხალხი იქნება. დაღუპული ჩვენი ბრძოლისათვის და ჩვენი ლიტერატურისათვის, დაღუპული არა იმიტომ, ჩვენ მათ დავამუშავებთ, არამედ იმიტომ, რომ თავისი შინაგანი ბუნებით გახრწნილნი და ყველაფრისათვის უვარგისი არიან.

„პერევალი" — ამბობს ზარუდინი, უკვე აღარ არის და არც იქნება! იგი მოკვდა. მისი საუკეთესო ნაწილი დადგა ორგკომიტეტის პოზიციებზე. ე. ი. სრული შინაგანი სოციალური თვითშეგნების პოზიციებზე, სოციალური თვითშეგნების პოზიციებზე მისი უვარგისი ნაწილი — ძალიან უმნიშვნელო ნაწილი ჩაიძირა „ობივატელობის" ჭაობში.

აი ის პროცესები, რომელიც მიმდინარეობს ლიტერატურაში, და მე მგონია, მაქვს სრული საფუძველი გამოვსთქვა იმედი, რომ საბჭოთა კავშირის საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე ჩვენ წარვსდგებით, ყოველგვარ ჯგუფობრიობის გარეშე, საბჭოთა მწერლების ერთ მთლიან არმიად და პარტიას, რომელმაც ჩვენდამი დიდი ნდობა გამოიჩინა, წარუდგენთ პატაკს იმის შესახებ, თუ როგორ ვიბრძოდით და როგორ ვფიქრობთ გავშალოთ ბრძოლა დიდი სოციალისტური ლიტერატურის შექმნისათვის. პირობები ამ დიდი სოციალისტური ლიტერატურის შესაქმნელად, ჩემის აზრით, უკვე გვაქვს.

რას მოვითხოვთ ჩვენ მწერლისაგან? სწერე სიმართლე ჩვენი განვითარების შესახებ. ჩვეულებრივ გვეკითხებიან: როგორი სიმართლე?—სულ უბრალო სიმართლე. აი შოლოხოვი, მან დასწერა სიმართლე. თქვენც ასე სწერეთ მთელი სიმართლე. მხოლოდ ამას და მეტს არაფერს არ მოვითხოვთ ჩვენ მწერლისაგან.

რატომ ვაყენებთ ჩვენ ამ დებულებას? იმიტომ, რომ ჩვენ მოსატყუებელი არავინა გვყავს, მუშათა კლასი კოლმეურნე გლეხობაზე დაყრდნობით აშენებს სოციალისტურ საზოგადოებას. ვინ არიან მუშები და გლეხები ჩვენს ქვეყანაში? ეს,—თუ გამოვრიცხავთ განადგურებულ კაპიტალისტური კლასების ნამსხვრევებს მთელი ხალხია. განადგურებული კაპიტალისტური ელემენტების გამოკლებით რომლებიც გვმავნებლობენ, რომლებთანაც შემდეგშიდაც უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა და საბოლოოდ მოვსპოთ, მათი გამოკლებით, მუშები და გლეხები—ეს მთელი ხალხია. და აი, თუ, ჩვენ ტყუილს ვილაპარაკებთ, ვის მოვატყუებთ? თავის თავს! ხომ იცით, თუ ჩვენ თავს მოვატყუებთ, ამით ხეირი არ გამოვა. ამჟამად ჩვენ ისეთი სახელმწიფო, ისეთი საზოგადოება გვაქვს, სადაც მუშები და გლეხები, საბჭოთა ინტელიგენცია, ჩვენ—ყველანი ერთად ვაგებთ ერთ შენობას, სოციალისტურ შენობას და ამიტომ, თუ ტყუილს ვიტყვით, მხოლოდ ჩვენს თავს მოვატყუებთ. ჩვენ კი არ გვინდა თავი მოვიტყუოთ და არც მოვიტყუებთ. და მას ვინც შეეცდება ტყუილი ილაპარაკოს, მაგრად დავარტყამთ.

სწერეთ იმის შესახებ, როგორ შენდება ეს შენობა, რა სიძნელეებს ვხვდებით ამ შენების დროს, როგორ ვძლევთ ამ სიძნელეებს. ჩვეულებრივ, სიძნელეებისა ეშინიათ ადამიანებს, რომლებიც ბოლომდე არ მისულან საბჭოთა ხელისუფლებასთან, რომლებიც ბოლომდე არ მისულან მუშათა კლასთან, და, უნდა ვსთქვათ, ისინი უფრო მეტს ყვირიან შიშზე, ვიდრე ნამდვილად ეშინიათ.

ჩვენ ჩვენი ქვეყანა გამოვიყვანეთ საშუალო საუკუნის დრონდელ მდგომარეობიდან, გავხადეთ იგი თანამედროვე მოწინავე ქვეყნად. ჩვენ მოვსპეთ ჩვენს ქვეყანაში სიღატაკე, უვიცობა, უცოდინარობა. გავხადეთ ქვეყანა კულტურული და ეს ვქენით სულ სამი ოთხი წლის განმავლობაში. სამხედრო თვალსაზრისით ჩვენ იგი ისეთ სიმაღლეზე ავიყვანეთ, რომელიც დღეს საშუალებას გვაძლევს სრული გულდამშვიდებით ვაწარმოოთ სოციალიზმის მშენებლობა. ქვეყნის ასეთი დაწინაურება რაღაც ოთხი წლის განმავლობაში, მისი ამ სიმაღლეზე აყვანა—ეს ადვილი საქმე როდია, ამხანაგებო. ეს ძალიან ძნელი საქმეა, სიძნელეებს გარეშე ქვეყნის ასე დაწინაურება და ასეთ სიმაღლეზე აყვანა შეუძლებელია. ზოგიერთი მსხვერპლი გავიღეთ, მაგრამ თქვენ წარმოგიდგენიათ, თუ როგორ წავწიეთ მას წინ ყველა დარგებში. რაკი ჩვენ იგი განვამტკიცეთ და გავხადეთ იგი წერა-კითხვის მცოდნე. სოფლის მეურნეობაში ჩვენ ვქმნით პოლიტგანყოფილებებს, ვგზავნით სოფლად ათასობით საუკეთესო ბოლშევიკებს. 1933 წელს სოფლის მეურნეობას ჩვენ გამოვიყვანთ იმ სიძნელეებიდან, რომელიც ჯერ კიდევ გვაქვს. ორი სამი წლის შემდეგ მათი სახსენებელი არ იქნება. სიძნელეების კი არ უნდა გვეშინოდეს, არამედ უნდა ვიცოდეთ მათი დაძლევა. როცა დიდი საქმე კეთდება, რასაკვირველია, ზოგიერთი ზედმეტი ქოთანი გატყდება,

ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი ყველა „რაპპ"-ლა საჭირო პირობები საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის. ჩვენ ვეუბნებით მწერლებს: სწერეთ სიმართლე. ეს არის „სოციალისტური რეალიზმის" ლოზუნგის მარტივად გამოთქმა. ჩვენ განვაცხადეთ, რომ პიესა ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვანი დარგია. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება საუკეთესო პიესის შესახებ კონკურსის გამოცხადებაზე, დადგენილება, რომელიც მტკიცე საფუძველს უქმნის პლენუმის მუშაობას. ჩვენ განვუცხადეთ მწერლებს, რომ ჩვენ გვინდა არა „აგიტკა", არამედ დიდი მხატვრული ნაწარმოები, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, ეხლა სიტყვა თქვენზეა.,

ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი ყველა „რაპპ"-ლებიც კი შევინარჩუნეთ. ჩვენი ძალები შევავსეთ მთელი რიგი მწერლებით, რომლებიც გამოვიდნენ წინანდელ და ამ პლენუმზეც. სიტყვა მწერლებზეა სწერეთ, შექმენით დიდი ლიტერატურა, დაგვანახეთ, რა ნიჭი და უნარი გაქვთ. როგორც მოგეხსენებათ, მაისის შუა რიცხვებში ჩვენ უნდა მოვიწვიოთ საბჭოთა მწერლების კავშირის ყრილობა. მანამდე უნდა ჩამოვაყალიბოთ კავშირი. წესდება ძირითადში ჩვენ უკვე მზად გვაქვს: დავამტკიცებთ მას პრეზიდიუმზე. უახლოეს ხანებში ჩვენ ადგილებზე დავგზავნით ინსტრუქციას იმის შესახებ, თუ ვინ უნდა მივიღოთ წევრად საბჭოთა მწერლების კავშირში ეს მუშაობა უახლოეს დროში უნდა დავიწყოთ იმ ანგარიშით, რომ მარტში ან აპრილის დამდეგს იგი დავამთავროთ, რომ მაისში შესაძლებელი გახდეს საბჭოთა მწერლების კავშირის ყრილობის მოწვევა. კავშირში მიღებული უნდა იქნან საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე მდგომი მწერლები, რომელთაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში. თუ ვისმე ჯერ კიდევ არ სურს დადგეს საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე, —დეე იგი დარჩეს საბჭოთა მწერლების კავშირს გარეთ. რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენ მოთმინებით ველოდით ამ ადამიანებს, მაგრამ, როგორც სჩანს, ეს უიმედო ხალხია, დეე თვითონ გამოარკვიონ თავისი ბედი, ჩვენ ასეთ პირებს საბჭოთა მწერლების კავშირში არ უნდა მივიღოთ. ჩვენ სულგრძელი მოთმინებით ვხელმძღვანელობთ ლიტერატურის არმიას, მაგრამ არ ვფიქრობთ, რომ ანტისაბჭოთა ან კონტრ-რევოლუციონურ ელემენტებს თავზე ხელს მოუსვამთ, არა, ჩვენ მათ შევებრძოლებით და შევებრძოლებით, როგორც ბოლშევიკები (ტაში) და ამ ბრძოლაში, მე ვფიქრობ, დაგვეხმარებიან მთელი საბჭოთა კავშირის საბჭოთა მწერლები (ტაში).

ხელოვნ. მუშაკ. მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის

საქ. ს. ს. ცეკას 1933 წ. 2 მარტის დადგენილება

ცეკას ბიურო ადგენს:

1) განსახკომმა აიღოს მტკიცე კურსი იქითკენ, რომ თეატრებმა საკუთარი შემოსავლით შეინახონ თავი.

2. საქართველოს სახკომსაბჭომ უზრუნველყოს თეატრის გეგმიანი მომარაგება დადგმებისათვის საჭირო მასალით.

3. დაევალოს ამხ. დეკანოზიშვილს და ქუთულორიას ერთი დეკადის ვადაში შეიმუშაონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მუშათა დახურული კოოპერატივის მოსაწყობათ, სათანადო სასადილოების მომარაგების გასაძლიერებლად და ახალი სასადილოების გასახსნელად ხელოვნების ძირითადი მუშაკებისათვის. მიღებული ზომების შესახებ მოხსენდეს სამდივნოს.

4. წინადადება მიეცეს სოცდაზღვევის სამმართველოს და კურორტთა მთავარ სამმართველოს გამოყონ ერთ-ერთ კურორტზე სპეციალური დასასვენებელი სახლი საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურულ მუშაკთათვის. სოცდაზღვევის სამმართველომ შეიტანოს თავის ბიუჯეტში ამ სახლის შენახვა.

5. ბინათკავშირმა მოაწყოს თავის სისტემაში საბინაო-საამშენებლო ამხანაგობა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთათვის და უზრუნველყოს იგი სათანადო კრედიტით.

6. წინადადება მიეცეს თბილისის საბჭოს დაუთმოს 10 მარტისათვის მხატვართა კავშირს სურათების გამოფენის და სახვითი ხელოვნების სახელოსნოს ორგანიზაციისათვის სადგომი წითელარმიის სახლქვეშ რუსთაველის პროსპექტზე, ხოლო [illegible] მაღაზია გადაიტანოს სხვა დარბაზში.

7. საქართველოს ეროვნულ გალერეიაში არსებული ფონდების ჩვენების ორგანიზაციის, ისტორიული ძეგლების და საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებთა შეგროვების და გამოყენების მიზნით, აგრეთვე სამეცნიერო კვლევითი მუშაობის საწარმოებლად, საჭიროდ ჩაითვალოს მეტეხის ციხის გადაცემა განსახკომისათვის ხელოვნების მუზეუმის მოსაწყობად.

დაევალოს ამხ. ლორთქიფანიძეს წარუდგინოს ცეკას სამდივნოს საჭირო ღონისძიებანი მეტეხის ციხის განსათავისუფლებლად 1933 წლის დამლევისათვის.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სახელგამს გაითვალისწინოს თავის გეგმაში მუსიკალურ ნაწარმოებთა და მხატვრული პროდუქციის გამოცემა.

9. ფინსახკომმა და განსახკომმა გაითვალისწინონ სახელმწიფო კონსერვატორიის 1933 წლის ბიუჯეტში 50 ათასი მანეთი კომპოზიტორთა კავშირის დასაფინანსებლად სახალხო სიმღერების გამოცემის და მუსიკალურ ნაწარმოებთა გამოცემის საქმეში.

წინადადება მიეცეს განსახკომს მოაწყოს [illegible] წ. შემოდგომიდან თეატრალ. და სამხატვრო ტექნიკუმში ხანმოკლე კვალიფიკაციის კადრების მოსამზადებლად.

10. საქართველოს ფინსახკომმა და განსახკომმა გაითვალისწინონ საქართველოს ეროვნული გალერეის ბიუჯეტში 60 ათასი მანეთი საქართველოს მხატვრების საუკეთესო სურათების შესაძენად.

11. საქართველოს სახკომსაბჭომ გადადოს 25 ათასი მანეთი კონკურსის ჩასატარებლად საუკეთესო დრამატიულ და მუსიკალურ ნაწარმოებზე.

13. თბილისის საბჭომ 2 დეკადის ვადაში დაუთმოს მწერალთა კავშირს 8 ოთახი მობინადრეთაგან მწერალთა სასახლის განსათავისუფლებლად.

14. აღინიშნოს, რომ გაზეთი „კომუნისტი" არასაკმაოდ აშუქებს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს და წინადადება მიეცეს მოაწყოს გაზეთის ფურცლებზე აღნიშნული საკითხების სისტემატიური გაშუქება.

15. განსახკომმა ერთი დეკადის ვადაში გადასცეს სახვითი ხელოვნების კომბინატი საქართველოს მხატვართა კავშირს.

სარეწაო საბჭომ უზრუნველყოს მხატვართა საწარმოო კოლექტივი საჭირო სახსრებით.

16. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

ლეჟილმა ბიჭმა ხალათის გადაძრობა დაა- ძაღლს არ ვესვრი. იმ სულძაღლმა კი კაცი [illegible]

[illegible] რი და არც მისი სახ[illegible] [illegible] რეველან...

სტამბა „კომუნისტი". კამოს ქუჩა 7 68

ი. ლისაშვილის რომანი „ვარდნილი"

შემოქმედებითი საღამო

„მნათობი"-ს რედაქციამ მორიგი შემოქმედებითი საღამო მიუძღვნა ამხ. იაკინთე ლისაშვილის ახლად დამთავრებულ რომანს „ვარდნილს".

ი. ლისაშვილი: რომან „ვარდნილში" მკვეთრად დავისახე მომეცა სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა გმირული დაძლევის მაგალითები. მე ვცადე გამომეჩინა ალმშენებლობისათვის მებრძოლი ადამიანები, მათი შეურყეველი ნებისყოფა, რომელიც სძლევს მრავალი სახის ათასგვარ დაბრკოლებებს, კლასობრივი მტრების მავნებლობას და გამოდის ვამარჯვებული მშენებლობის ფრონტზე.

შესავალ სიტყვის შემდეგ ავტორმა წაიკითხა თავისი რომანის სამი თავი.

რა მოეწონეთ და რა ნაკლი შეამჩნიეს მწერლებმა ამ რომანში?

სერგო კლდიაშვილი — „ვარდნილი" სრულიად წაკითხული არა მაქვს, წავიკითხე მხოლოდ ის თავები რომანიდან, რომელიც ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობაში" დაიბეჭდა. ახლა კიდევ მოვისმინე სამი ბოლო თავი. მეტი რომ მქონოდა, უკეთ ცხადი, უფრო გარკვეული აზრი მექნებოდა. რამდენადაც მივხვდი, ავტორი ამავე თავებში სოფლის რეკონსტრუქციის საკითხებსაც ეხება. საინტერესო იყო ეს თავებიც მოვვესმინა. წაკითხულის და მოსმენილის შესახებ შემდეგი შემიძლია ვთქვა: ავტორს საინტერესო თემა აქვს აღებული. ლაგ ენა მოიკოჭლებს. უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: რომანში თითქოს სჭარბობს ფსიქოლოგიური მომენტები. აქ ლისაშვილის და მიხ. ჯავახიშვილის ხერხები ერთმანეთს ეხერთდება. ამით იმას კი არ ვამბობ, რომ ლისაშვილი ჯავახიშვილის გზას განაგრძობს — ლისაშვილი ჯავახიშვილისაგან დამოუკიდებელია, მაგრამ ფსიქოლოგიზმში ისინი ერთდებიან. ლისაშვილს აქამდი ვიცნობდი, როგორც პოეტს. ახლა დიდი რომანის ავტორათ გვევლინება. ეს მისი პირველი ცდაა ამ გზაზე.

სიმონ ჩიქოვანი: სამწუხაროდ მოთხრობის მხოლოდ მეორე ნახევარი მოვისმინე და არ შემიძლია ვსთქვა რამე მთლიან სიუჟეტურ განვითარების შესახებ. მხოლოდ უნდა აღვნიშნო: სახეები ბევრია რომანში და ამასთან ძლიერი ექსპრესიით დაწერილი ეს სახეების სიმრავლე მას აძლევს პოეტური პროზის ელფერს. მაგრამ აქ არის ხიფათიც. მეტი პოეტური სახეები ძალიან ტვირთავს ნაწარმოებს და ამ მხრივ საჭიროა მეტი დაკვირვება.

საერთოდ ლისაშვილის ეს რომანი უსათუოდ მისაღები ნაწარმოებია.

ბესო ჟღენტი: ი. ლისაშვილის რომანი „ვარდნილი" მნიშვნელოვანი მოვლენაა თანამედროვე ქართულ ბელეტრისტიკაში რამდენადაც ნაწარმოებს იდეურ თემატიური მხრით მეტად აქტუალურია საყურადღებოა და ჯერ კიდევ ჩვენს ახალ მწერლობაში — დაუმუშავებელი.

ამ ღირსებებთან ერთად უნდა აღინიშნოს, ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი რომელთა გამოსწორება აუცილებელი პირობაა ამ ნაწარმოების წარმატებისათვის.

სტილისტურ მხარეს ავტორის მიერ სჭირდება დაჯექითებითი რედაქცია. დიალოგები ზოგან სუსტადაა დამუშავებული.

ზოგიერთ მომენტებში ადგილი აქვს ზედმეტ ფსიქოლოგიზმს, ტიპის არა დამაჯერებელ და ამბის არა რეალურ განვითარებას. ნაწარმოების ზოგ ადგილს ემჩნევა დაჩქარებითი ნამუშევრობა.

ეს რომანი მიმაჩნია ერთ-ერთ სიმპტომათ იმ შემოქმედებითი აქტივიზაციისა, რომელსაც განიცდის ახლა კომუნისტ-მწერლების რიგები, რომელსაც პრ. მწერალთა ასოც. ყოფილი ხელმძღვანელების ჯგუფობრივი ტენდენციების გამო ერთგვარ იგნორაციაში იმყოფებოდა.

ვალერიან გაფრინდაშვილი: დღემდე ჩვენ

ვიცნობდით ი. ლისაშვილს, როგორც პოეტს. მისი რომანი „ვარდნილი" არის პირველი ცდა, მისთვის, როდესაც პოეტი გადადის მხატვრულ პროზაზე და სხვა ხერხებით ეუფლება სიტყვას. ჩემი ფიქრით, „ვარდნილი" არის პირველი ინდუსტრიალური რომანი ჩვენს მწერლობაში. იმ ნაწარმოებში, რომელიც მოგვცა ჩვენმა მხატვრულმა ლიტერატურამ, ყოველთვის უპირატესობით იყო მოცემული ქალაქი აქ კი წინ იწევა ქალაქთან ერთად სოფლის სურათიც.

ამ მხრივ უთუოდ არის ახალი რომანში წაკითხულ თავების მიხედვით არ შეიძლება უკანასკნელი დასკვნების გამოტანა, მაგრამ ახლაც შეიძლება ითქვას, რომ რომანი საკმარისად დინამიურია. იგი მოცემულია მხატვრული ტემპით და ხშირად სრულიად ორიგინალური სახეებით, სადაც სჩანს პოეტის ხელი. აღსანიშნავია მუდამ ცოცხალი დიალოგი. ავტორს ემარჯვება ლირიული პეიზაჟი. ბევრი რამე დასახვეწია სტილის მხრივ. ნაკლს ეკუთვნის ის რომ, მასა წაკითხულ თავებში არ სჩანს. მეტი ყურადღება მიქცეული ცალკე გმირებზე. მისასალმებელია ლისაშვილის პირველი ცდა.

ვ. ჟღენტი: საწარმოო „ხასიათის" ქართულ ნაწარმოებთა შორის „ვარდნილი" გამოირჩევა თემატიური სიახლით და შესაფერისი მხატვრული დამუშავებით. გმირების მოქმედება და ხასიათები ავტორის დიალოგების სახით აქვს მოცემული. მიუხედავათ ამისა ტიპები საკმაო სიმკვეთრით ჩანან საერთო ფონზე.

ე. წულუკიძე: ავტორმა შესავალ სიტყვაში განაცხადა, რომ მისი რომანი წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის გამოხატვას სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში, ე. ი. დიდი გარდატეხის წლის მომყოლ წლებში. თუ ეს ასეა, მაშინ ავტორის მხედველობიდან გამოპარვია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, — სახელდობრ ის, რომ დიდი გარდატეხის წლის შემდეგ, როგორც ეს აღნიშნა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ცენტრალურ კომიტეტის იანვრის პლენუმზე ამხ. სტალინმა, კლასობრივი მტერი არ აწარმოებს პირდაპირ აშკარა ბრძოლას სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ, არამედ მოქმედობს ფარულად, ნიღაბ აფარებული, მიხვეულ მოხვეული გზით. ამხ. ი. ლისაშვილის რომანში, რომელიც სწორედ უკანასკნელი წლების კლასობრივ ბრძოლის მხატვრულ სურათს იძლევა, მტერი მოქმედობს პირდაპირ, აშკარად, აწარმოებს რა აფეთქებას, ტერორის

ტულ გამოსვლებს, ეწევა აშკარა აგიტაციას და სხვა. ეს ეწინააღმდეგება იმას, რაც ნამდვილად ხდებოდა და ხდება კლასობრივი ბრძოლის ფრონტზე ამ ბოლო წლებში.

ბ. ჩხეიძე: რომანიდან მოვისმინეთ რამდენიმე თავი. ეს მაინც და მაინც საშუალებას არ გვაძლევს, გაბედულად ვილაპარაკოთ. ზოგიერთი ამხან-გის აზრით, ნაწარმოების დეტალების მოხაზვაში სჩანს დამუშავებული სახეები, რაც რომანის ავტორის დადებით ღირსებად უნდა ჩაითვალოს. პირადათ, ჩემის აზრით, რომანი კარგადაა გაკეთებული თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თემად გამოყენებული მასალა ვერაა ისეთის ხერხით დამუშავებული, რომ მან მკითხველში უფრო მეტი ემოციები გამოიწვიოს.

რომანი, რაც მთავარია წარმოთ თემას ეხება და არკვევს დღევანდლობის აქტუალურ საკითხებს.

ვ. სამსონიძე: მე წავიკითხე ამხ. ლისაშვილის რომანი „ვარდნილი"-ს ის ნაწილები, რომლებიც დაიბეჭდა ჟურნ. „პროლეტარულ მწერლობაში" და „სალიტერატურო გაზეთში". აგრეთვე მოვისმინე რომანის უკანასკნელი სამი თავი. ამიტომ რამდენადაც ჯერ კიდევ რომანის სიუჟეტს ვერ ვიცნობთ მთლიანად, ამიტომ შეუძლებელია ახლა მასზე ვიმსჯელოთ ყოველმხრივ.

ჩემი აზრი ამ რომანის შესახებ თავიდან დადებითი იყო. მასში მრავლად მოიპოვება ძლიერი ადგილები, რაც პროზულ ნაწარმოების ღირსების მთავარ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. არის ბევრი მხატვრული, მოსწრებული შედარებები და სახეები. ცდებიან ის ამხანაგები, რომლებიც „ვარდნილ"-ში ხედავენ გადაჭარბებულ ფსიქოლოგიზმს, საერთოდ ამ რომანში ენა გამართულია, მხოლოდ იქა-აქ არის ნაჩქარევი ადგილები. ავტორის მოვალეობაა, რაც შეიძლება, მეტი ყურადღება მიაქციოს ენას და ეცადოს ყოველმხრივ დახვეწოს იგი. ზოგან შეხვდებით რუსიციზმსაც, მაგრამ ძნელი არ არის ავტორის მიერ ამ ნაკლის გამოსწორება. საერთოდ კი ამხ. ლისაშვილის რომანი —„ვარდნილი" მე მიმაჩნია თანამედროვე ქართულ პროზის მორიგ გამარჯვებად.

ი. ვაკელი: ი. ლისაშვილის რომანი მრავალ მხრივ არის საინტერესო. ავტორი ეხება ჩვენი ცხოვრების მეტად აქტუალურ მხარეს ელექტროფიკაციას და ეს თემა მჭიდროდ აქვს დაკავშირებული სოფლის ცხოვრებასთან. ამ დაკავშირებაშიც აქვს ლისაშვილს თავისებურება და არსად არ ღალატობს ბუნებრიობას. მე პირადათ მგონია, რომ ეს რომანი ბევრ ნაწარმოებს, რომელიც ჩვენში გაბერილ იქნა ჩვენი კრიტიკის მიერ—უკან ჩამოიტოვებს ყოველ მხრივ. „ვარდნილი"-ში ხშირად შეხვდებით ძლიერსა და მხატვრულად დამაჯერებელ ადგილებს. ავტორს ემარჯვება მოხდენილი დიალოგი, ტიპის მახვილი მოხაზვა, ფრაზის მოკლეთ მოკვეთა, ადგილებში ლირიული გარბილება, რაც რომანს უთუოდ პოეტურ პროზის რიგს აკუთვნებს. აქ ამხანაგებმა ი. ლისაშვილს ზოგ დაუდევრობაზე მიუთითეს ენის მხრივ; ეს უსათუოდ არის, მაგრამ მისი გასწორება ადვილი საქმეა.

შემოქმედებითი საღამო თავდება **რ. ცვე ტაძის** დასკვნითი სიტყვით.

აჯამებს რა დისკუსიის შედეგებს ამხ. რ. ცვეტაძე რომანის ღირსებებთან ერთად აღნიშნავს, რომ ავტორმა რომანის საბოლოო რედაქციის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, იმ ნაკლის გამოსწორებას, რომელზედაც დისკუსიის მონაწილეობა მიუთითეს და რომლის გამოსწორება აუცილებელია.

სახელდობრ საჭიროა ამერიკული ტრიუკების მსგავსი ადგილების ამოღება, გადამლაშებულ სახეების გათლა, ცალკე ფრაზების დამუშავება, ნაწარმოების გამეხდოვეუგონისა და უხერხულ გამოთქმებისაგან

მარქსის ხსოვნისათვის

14 მარტს, საღამოს, სახ. ოპერის თეატრში, კარლ მარქსის გარდაცვალებიდან 50 წლის თავის აღსანიშნავად შესდგა საქ. ცაკის და თბილისის საქ. საბჭოს გაერთიანებული სხდომა რაისაბჭოების დეპუტატების, პარტიულ, პროფესიონალურ და ლენინურ კომკავშირის აქტივთან ერთად.

სხდომა გახსნა ამხ. **ფ. მახარაძემ**. მხურვალე ტაშის ცემით პრეზიდიუმში არჩეული იქნა კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიურო ამხ. **სტალინის** მეთაურობით.

შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **ფ. მახარაძემ**. კარლ მარქსის მოღვაწეობასა და ცხოვრების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. **მალაქია ტოროშელიძემ**.

სხდომის დასასრულს კ. მარქსის და ენგელსის ნაწერების ქართულ ენაზე გამოცემის ხელმძღვანელობისათვის საქ. ცაკის შრომის წითელი ორდენით დაჯილდოვებული იქნა ამხ. მ. ტოროშელიძე. აგრეთვე სხვადასხვა სახის ჯილდოები მიეცათ მთარგმნელებს: დ. ონიაშვილს, ფ. გოგიჩაიშვილს, გ. ქიქოძეს, გ. გამყრელიძეს და ახოთ. ამწყობებს ი. სონღულაშვილს, დ. ლოლობერიძეს და ვ. ესაიაშვილს.

ცაკის დადგენილებით თბილისში აიგება კ. მარქსის ძეგლი. მარქსის სახელი ეწოდა საჯარო ბიბლიოთეკას.

ვ. გაბესკირია

ურთხელის ჩრდილი

მელანქოლიური ჩანთით მიმავალს
შემომჩნევია მე გზაზე ხშირად
ტბის ფრინველივით ჩაფიქრებული
შენი პატარა ქოხი ტყის პირად.

როცა ეწერის ნისლში ჩარგული
დღე, ისევ მზიანს გაშლიდა ტაროსს, —
ქოხთან მოსჩანდა ძაფზე აცმული
აბრეშუმი... ან სიმინდის ტარო.

შენი სიცოცხლე დროს გაერიყა,
არ გახარებდა ნათელი დილის;
და შენ ამ ქვეყნად ისევე იყავ
როგორც წაქცეულ ურთხელის ჩრდილი.

მაგრამ იქ, სადაც თვალდაორბებულს
იაზონს მკლავი ვაუშინჯია, —
ამხედრებულხართ ებრძვით ჭაობებს
შენ და ელიზბარ დიხამინჯია.

იქ სადაც დრო და დღე დაკარგულა,
ქარს და შრიალში ისმოდა მოთქმა, —
ამხედრებულხართ, ამხედრებულან
კოლხიდელების ახალი მოდგმა
რომ ცა ეწერში დაობებული
ისევ კრიალას ემსგავსოს მინას..
და დღეს მოხუცო გაშლილ დაბლობზე
დამეხებული შენი ხმა გრგვინავს
ძველო მხარეო, ქცეულო ზვირთათ,
ძველო ხმაურში გადაკარგულა,
რომ სინამდვილეთ იქცეს ნაპირთან
ის რაც ძველთაგან ზღაპრებში თქმულა.

თავდაცვითი მხატვრულ-სალიტერატურო კომისიის მუშაობა

საქ. საბჭ. მწერლების კავშირთან გასულ წლის 7 ოქტომბერს ჩამოყალიბდა თავდაცვითი მხატ. ლიტ. კომი. კომისიაში შედიან წევრებად კწდ არმიის პ. მგ. მუშაკები: **ნ. ბლუაშვილი, ს. ბუაჩიძე, პ. მირთაძე და ვ. დიდიძე**, მწერალთა კავშირიდან: **გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, ქ. ბობოხიძე ამხ. სულავა, გრეზენშჩიკოვი, გელერშტეინი და დარპინიანი**. კომისიამ დღემდე ჩამოაყალიბა „წ. არმიელი"-ს რედაქციასთან სამხედრო მწერალთა ცენტრალური წრე, სადაც გარდა დამწყებ წითელარმიელ მწერლებისა მუშაობენ ისეთი ცნობილი მწერლები, როგორიცაა გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი და სხვები. წრეს ჰყავს ბიურო შემდეგი შემადგენლობით: გ. ტაბიძე (თავმჯდომარე), მ. ქუჩიშვილი, ე. ჭანიშვილი, ა. შანიძე, გ. წანწავა (მდივანი) გეგუჩაძე და ჩიტაძე. წრის საერთო ხელმძღვანელია ამხ. **ქ. ბობოხიძე**. წრე ატარებს ბიუროს სხდომებს და აწარმოებს მეცადინეობას. დღემდე წრეს ჰქონდა ბიუროს 3 სხდომა და წრის 4 სხდომა. სამხედრო მწერალთა ცენტრალური წრის გარდა 12 თებერვალს სამხედრო თავდაცვითი მხატვრულ ლიტერატურულ კომისიის და წ. არმიის სახლის ინიციატივით ჩამოყალიბდა ტფილისის წითელ არმიის სახლთან წითელ არმიელთა შემოქმედებითი ლიტერატურული წრე. წრემ პირველად მოისმინა ამხ. ქ. ბობოხიძის მოხსენება თემაზე: „საწრეო ლიტ. მუშაობა წ. არმიის ნაწილებში და სამხედრო კომისიის ამოცანები". წრემ დაადგინა იმეცადინოს ერთ დღეს ყოველ ექვსდღიურში. წრე, გარდა ლიტ. მეცადინეობისა, აწარმოებს წითელ არმიელთა შემოქმედების განხილვას. მოწონებული ნაწარმოებნი დაიბეჭდება წ. არმიის სახლის ერთდღიურ გაზეთში, „წითელ არმიელში" და სხვა ლიტ. გამოცემებში. სამხედრო კომისიამ აგრეთვე აღრიცხვაზე აიყვანა დამწყები მწერლები და ლიტ. წრის წევრები ამიერ-კავკასიის სამხედრო სკოლაში, 1 და მეექვსე ლეგიონში.

თავდაცვითი მხატ. ლიტ. კომისიამ მოაწყო ლიტ. საღამოები—ამიერ-კავკასიის სამხედრო სკოლაში ორჯერ, პირველ ლეგიონში ორჯერ. წ. არმიის სახლში ოთხჯერ. 6 ლეგიონში ერთჯერ. მწერალთა სასახლეში ერთჯერ. რადიო გამოსვლა— ოთხჯერ. წითელარმიის სახლში—ხუთჯერ. წ. არმიის 15 წლის თავთან დაკავშირებით კომისია გარდა ლიტ. საღამოებისა და რადიო გამოსვლებისა, სცემს სამხედრო ლიტ. კრებულს, რომელიც უკვე იბეჭდება. სამხედრო კომისიის ბეჭდვითი ლიტ. ორგანო წარმოადგენს „წ. ა." არსებული ლიტ. სექცია, რომელიც დღემდე გამოცემულია 7-ჯერ და აგრეთვე „სალიტ. გაზეთი"- ერთთვიური გვერდი. წითელ არმიის 15 წლის თავთან დაკავშირებით ჩვენ დავუთმეთ საკმაო ადგილი ჟ. „დროშა"-მ, „მნათობმა", „საბჭოთა მწერლობა"-მ, „სალიტ. გაზეთმა" და „წითელარმიელმა" რომელთაც მოთხოვნილებისამებრ გადაეცა ლიტ. მასალები (ლექსები, მოთხრობები, კრიტიკული წერილები და სხვა). სამხედრო კომისიამ თავისი არსებობიდან წითელარმიელ რიგებიდან პრესის ფურცლებზე გამოიყვანა დამწყები მწერლები ამხ. ამხ. წანწავა, ჩიტაძე, ჩიტაიშვილი ესებუა და სხვა. საკმაოდ დაწინაურდა ამხ. **დარასელი**. აგრეთვე კომისიამ წამოწია სამხედრო თემებზე მომუშავე დამწყები მწერლები ქანიშვილი, მახიძე, ბახტაძე და სხვა.

ჩვენს მუშაობას აქვს ნაკლიც, რაც გამოიხატება შემდეგში: 1. სხვადასხვა დაბრკოლებებისა, კერძოთ დღემდე სახსრების უქონლობის გამო ვერ ჩამოვაყალიბეთ ქვეკომისიები ქუთაისში, ბათუმში სოხუმში და ცხინვალში. ცოცხალი კავშირი ვერ დავიკავეთ წ. არმიის ტფილისის გარე მყოფ ქართულ ნაწილებთან, საკმაოდ ვერ გავაუმჯობესეთ დამწყებ მწერლების ლიტ. პროდუქციის ხარისხი, მაგრამ ჩვენ მიერ მიღებულია ზომები ამ დაბრკოლების გადასალახავად და ნაკლის გამოსასწორებლად.

რაზე ვმუშაობთ

დავწერე ორი პიესა — „შავი ქვა", 5 მ. მიღებულია რუსთაველის თეატრის მიერ, „ნინოშვილის გურია", 4 მ. მიღებულია მარჯანიშვილის თეატრში.

ერთი ლიბრეტტო — „არსენა ოძელაშვილი", შეკვეთილია სახ. ოპერის მიერ, მუსიკასა სწერს ახალგაზრდა კომპოზიტორი ანდრ. ბალანჩივაძე, რომელმაც 1-ლი მოქმედება უკვე დაასრულა და ახლო ხანში განხილულ იქნება კიდეც სპეციალ ჟიურის მიერ.

დავწერე სცენარი — „უმური", რომლის გადაღებასაც უკვე შეუდგა სახკინმრეწვი. სურათისა დგამს რეჟისორი ნინო ღოღობერიძე.

ამ ჟამად ვმუშაობ პარალელურად ორ მთავარ ნაწარმოებზე. ერთია ტრაგედია 50 წლების სამეგრელოს გლეხთა აჯანყებიდან — სახელწოდებით „ურდუმი" და მეორე რომანი დღეინდელი სამეგრელოს ცხოვრებიდან.

შალვა დადიანი.

დაწყებული მაქვს და ექვსი თვის განმავლობაში დავამთავრებ რომანს პარტიულ არალეგალურ 1906—1910 წლების რეაქციის დროის ცხოვრებიდან— „მძიმე დღეები". რომანი აგებულია ფაქტიურ მასალებზე; ნაწარმოებში მოცემული იქნება ბოლშევიკური არალეგალური კომიტეტის ცხოვრების სურათები და მისი წევრების პორტრეტები. მასალები აღებული მაქვს ცენტრ-არქივის წყაროებიდან, ამხანაგების მოგონებებიდან და პირადი განცდიდან.

პარალელურად ამასთან ერთად ვაგროვებ მასალებს 1907—17 წლების ემიგრაციის ცხოვრებიდან. ქრონიკაში მოცემული, იქნება პორტრეტები მაშინდელი ემიგრანტების — ლენინის, პლეხანოვის, მარტოვის და სხვების ქრონიკა დამთავრდება ემიგრანტების დაბრუნებით ლენინთან ერთად.

დავით სულიაშვილი.

1) ვწერ ნარკვევს „კულტ-ექსპედიცია ფშავ - ხევსურეთში".

2) საბავშო წიგნს — „გორის საკონსერვო ქარხანა".

3) და წიგნს —შირმას—„ჩვენი მშენებლები".

მარიჯან.

რუს თეატრის თეატრი ხან. ახმელის ხელმძღვანელობით ამზადებს მეორე პრემიერად ჩემს ახალ პიესას „ხაგაის". პიესა აგებულია არა საქართველოს მასალებზე, არამედ მთლიანად საკავშირო ფონზე. მომქმედი პირები — სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. თემა — ფსიქოლოგიური ძვრები ამ სხვადასხვა ფენებში.

1929 წლიდან ვმუშაობ დიდ რომანზე— „ფეთხაინი". რომანი მთლიანად შესდგება სამი წიგნიდან. პირველი წიგნი („1920-1923 წ.") უკვე მზადა მაქვს.

პარალელურად ვმუშაობ ნოველების კრებულზე, რომელიც ატარებს საერთო სახელწოდებას „მომაკვდავი თაობა".

ამხ. ბესო ჟღენტთან ერთად ვამთავრებ ნარკვევების წიგნს „ახალი ებრაელები"— ებრაელ კოლმეურნეთა ცხოვრებიდან საქართველოში.

პირველის თემა და ეპოქა—ესპანეთის ინკვიზიცია. (მე-15 საუკ.).

მეორე პიესის ქარგა იქნება ისევ თანამედროვე სოციალისტური ეპოქა. თემა—ზრდის სიძნელენი.

გერცელ ბააზოვი.

დავამთავრე მოზრდილი სიუჟეტიანი ლექსი —„განცდილ გარემოში". თემა აღებული მაქვს ჩვენი სოფლის სინამდვილიდან. ლექსში მოცემულია აქტიური კოლმეურნის ოჯახი და საქმიანობა, და ამასთან დაკავშირებით პოეტის კონკრეტული განწყობილებანი. ვწერ სიუჟეტიან ლირიკულ ლექსს სტუდენტი ქალის ცხოვრებიდან. ლექსში მოცემული იქნება სოფლელი ახალგაზრდა ქალის ქალაქთან აღლახან გაცნობა, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ცხოვრება, გარემო, აკადემიური მუშაობით დაინტერესება, უნარი და ზოგი რამ ქალის ყოფა-ცხოვრებიდან. მოფიქრებული მაქვს ორი ლირიკული ლექსი. ერთში მოცემული იქნება ხარების გასვლა კერძო მეურნის ოჯახიდან და მათი პირველი დღეები სასოფლო სამეურნეო არტელის ბოსელში. აქ შექმნილი პირობების გამო ხარების ხასიათის შეცვლა. ყველაფერი ეს დაკავშირებული იქნება სასოფ. სამ. არტელში ხარების პატრონის შესვლასთან. მეორე ლექსის თემად გამოყენებული იქნება სამოქალაქო ომების ერთი ეპიზოდი.

გიორგი კაჭახიძე.

გ. ბუხნიკაშვილი

მთები დაინგრეს

პიესა 4 მოქმედებად

(ნაწყვეტი)

გორაკი. დიდი ხე. (ბჭობის ხე). სალოცავი ხატი. დღეობა. ხევსურები ნადიმობენ.

— დაჩუმდით..

— ხევის ბერი ლაპარაკობს..

— ვეფხვია ლაპარაკობს...

ვეფხვია.—დასტურ.

დასტური.—აქა ვარ.

ვეფხვია.—დაამშვიდე ხალხი..

დასტური.—დაჩუმდით, დაჩუმდით... ხევის ბერი ლაპარაკობს. (სიჩუმე).

ვეფხვია.—ხევსურნო, დღეს ხატობაა, ჩვენ ძველ ადათს ვასრულებთ... ხომ იცით, ხევსურნო, სადა ვართ? ეს ადგილი კურთხეულია ღვთისაგან... იალსარ, შენ ხარ ჩვენი შემწე... ამ ბჭობის ხის ქვეშ არის დაცული ხევსურთა წეს-ადათები.. ამ ხის ჩრდილში ერეკლე მეფეს დაუსვენია... ხომ გესმით, ხევსურნო?...

— გვესმის.

ვეფხვია.—ახალ ცხოვრებაა, ახალ წესია.. ახალ მთავრობაა... ჩვენი კანონები ურჯული, ძველი კანონები, რჩება, ხევსურნო...

— რჩება ხევის ბერო...

ვეფხვია.—მაშ დიდი იალსარ იყოს ჩვენი შემწე..

— იალსარ, იალსარ..

მგელიკა.—ურყევია ხევსურთ კანონები... არ შეიცვლება ხევსურთ მორის..

— ერთნი ვართ ყველანი ხევსურნი. (ყველას ხმა. წამოიშლებიან).

— ვიღაც მოდის..

ვეფხვია.—ბაჭიჭაურო. მთავრობა ხარ, ნახე ვინ მოდის.

ბაჭიჭაური.—ვინ იქნება? (გადის).

ვეფხვია.—დამშვიდდით, გაიგებს ამბავს.

ვაშლოკინა.—ვიტიროთ თავდოლაბ...

თავდოლაბა.—რად ვიტიროთ? დიაც ხომ ვიცით?

ვაშლოკინა.—ძმა ხარ, მეგობარ და იმედი.

თავდოლაბა.—ვაშლოკინ, სიმღერმ გაგიტაცა ქალიშვილი იმიტომ მოვდის..

ვაშლოკინა.—შენც გაგტეხა... მაგრამ, გგონია, ქრა-ქრილობაში მაინც კარგი ხარ..

თავდოლაბა.—რალა დროს შენი ქრაქრილობაა, სამარეს ჩასაქერი.

ვაშლოკინა.—გამოდი ვნახოთ..

თავდოლაბა.—ძვირად დაგიჯდება..

ვაშლოკინა.—ვნახოთ..

თავდოლაბა.—ხანჯალი მთელს ზამთარს ლესე, ბეწვს სჭრის ჰაერში.

ბათირა.—თავდოლაბ, ვაჟკაც ხარ, არ ეკადრების უკან დახევა.

ვაშლოკინა.—გამოდი...

ბათირა.—შერცხვი, თავდოლაბ..

თავდოლაბა.—აბა, მაშ გამოდი..

ვაშლოკინა.—გამოდი.. (ფარიკაობა).

ბათირა.—უყურეთ ბებრების წვალებას...

— ეჰეი, თავდოლაბ, ვაშლოკინ... რაღაა თქვენი ქრა-ქრილობაა.. ეჰეი... (სიცილი).

ვაშლოკინა.—ბიჭაღლო ოქროთ ამოგივსებ ქრილობას...

თავდოლაბა.—თეთრ ვერცხლით შეგიმკობ ქრილობას...

ვეფხვია.—შეაჩერეთ.. (შეაჩერებენ) დალიეთ.. არაყი თავში აგივარდათ..

ბათირა.—დამიხედეთ გმირებს, ხა, ხა, ხა!..

ვაშლოკინა.—შენი ხათრი, ხევის ბერო, თორემ თავდოლაბას თავს ნახავდი აჭრელებულს.

თავდოლაბა.—შენი ხათრი, ხევის ბერო, თორემ ვაშლოკინას დილაც არ გაუთენდებოდის..

ბათირა.—როგორ მამლებივით აქოჩრილან.. ხა, ხა, ხა! (საერთო სიცილი).

თავდოლაბა.—ბათირ, სისხლს ნუ მამიყვან. ხომ ხედავ ხანჯალს.

ვეფხვია.—ერთი კიდევ —ფსუოვლიზედთ

ვეფხვია.—შერიგდით... ლუდი მიართვით.. (თავდოლაბა და ვაშლოკინა კოცნიან ერთმანეთს. საერთო ერიამული).

ბათირა.—ერთი კიდევ აკოცე... ხა, ხა, ხა!..

ბაჭიჭაური.—(გამოდის) მთავრობის ხალხი ვართოთ, ქალაქელი მაჩვენეს..

ვეფხვია.—რა უნდებით?

ბაჭიჭაური.—გზის გაყვანის საქმეზე ვართო. გზის ტეხნიკებია.

იმედა.—გზის ტეხნიკები?

ვეფხვია.—დიდი ხანია ლაპარაკია. მაგრამ სად არის გზა?

მგელიკა.—ან რაით გვინდა გზა?

ვეფხვია.—სტუმარი ღვთისაა, მოიყვანე.

ბაჭიჭაური.—დაღლილებ არიან, მთას ვერ ამოვლენ. დაბანაკდენ მთის ძირში.

ვეფხვია.—ერთი მოვიდეს მაინც, პატივი სცეს ჩვენ ზეიმს.

ბაჭიჭაური.—უფროსი მოდის.

ვეფხვია.—მივიღოთ. პატივი ვცეთ, სტუმარი ღვთისაა (შემოდის ტეხნიკი).

ტეხნიკი.—გამარჯობათ.

ვეფხვია.—გაგიმარჯოს.. მობრძანდი, დაბრძანდი...

ტეხნიკი.—საშინელი გზებია..

მგელიკა.—მთებია და იმიტომ..

ვეფხვია.—მიირთვი ლუდი, ხინკალი..

ტეხნიკი.—იცოცხლეთ, ამხანაგებო.. (სვამს).

ვეფხვია.—რა საქმეზე მოსულხართ? რა გაგიჭირდათ ისეთი, რომ ამ მთებს მოედით?

ტეხნიკი.—გზის გასაყვან ადგილებს ვეძებთ... ალბად გეცოდინებათ, რომ ტფილისიდან გზა მოგვყავს... სწორე, ქვის გზა... ავტომობილიც კი ივლის..

ბაჭიჭაური.—დუშეთში მეც გავიგე ეს ამბავი..

ვეფხვია.—მოიცა. ბაჭიჭაურო.. მაშ დიდი გზა მოდის?

ტეხნიკი.—დიდი გზა, მაშ.. შატილამდე უნდა ავიყვანოთ.

მგელიკა.—რათ უნდა მთავრობას ეს გზა? გადასახადი ჩვენ თითონ ჩაგვაქვს დუშეთში, ისე-კი აქ სხვა არაფერია.. მთებია მარტო...

ტეხნიკი.—ამ მთებში ძვირფასი მადანია, ადვილად გავიტანთ.

მგელიკა.—მადანი სხვაგანაც ბევრია, რაღა ჩვენთან ეძებთ?

ტეხნიკი.—ხევსურეთს გზა დიდ სარგებლობას მოუტანს.. სწავლა-განათლება, კულტურა შემოვა...

მგელიკა.—გვეყოფის რაც განათლება გვაქვს. წერა-კითხვა ყველამ ვიცით..

ტეხნიკი.—ეგ არ არის საკმარისი.. მთელი თქვენი ცხოვრება უნდა გარდაიქმნას.

ვეფხვია.—მოიცა მგელიკავ... საით გაივლის გზა?

ტეხნიკი.—აქ ახლოს უნდა გაიაროს..

ბათირა.—იმედა, კარგი ამბავია...

იმედა.—მოვესწრობით გზას...

ვეფხვია.—დალიე კიდევ..

ტეხნიკი.—არა, ამხანაგებო.. უნდა წავიდე, ძალზე დაღლილები ვართ... დიდი ბოდიში...

ვეფხვია.—ჩვენს ადათში ასე არ სწერია, სტუმარ ასე მალე ვერ წაბრძანდებით..

ტეხნიკი.—ეხლა ასე იყოს და ხვალზეგ თქვენი სტუმრები ვართ...

ვეფხვია.—მაშ კარგი. ხვალ ჩვენთან ხართ, სოფელში.

ტეხნიკი.—ნახვამდის, ამხანაგებო. (გადის. იმედა დაედევნება).

მგელიკა.—რას არ გამოიგონებენ.

ვეფხვია.—ბაჭიჭაურო, რას იტყვი? მთავრობა ხარ:..

ბაჭიჭაური.—მე რაი ვიცი...

ვაშლოკინა.—კარგი საქმეა გზის გაყვანა...

თავდოლაბა.—ავტომობილი მინახავს დუშეთში... რბილი სიარულ იცის.. ჩავჯდეთ მე და შენ ვაშლოკინ და ახალ გზით ჩავიდეთ ქალაქში.

მგელიკა.—ბებრებო, რას აიშალეთ..

ვაშლოკინა.—რა გინდა, მგელიკავ...

მგელიკა.—გზაი კარგია ბარელებისათვის, ჩვენთვის კი არ გამოდგების...

ვაშლოკინა.—რატომ, მგელიკავ?

მგელიკა.—გადასახადები მეტი მოვა... გვონიათ მთავრობა გზას თითონ გაიყვანს? ჩვენს კისერზე იქნების..

ვაშლოკინა.—კისერი სქელი გაქვს, მგელიკავ, გაუძლებ..

არაბა.—მამაჩემის ქონებასთან შენ რა ხელი გაქვს, ბებერო?

ვაშლოკინა.—გაჩერე შენი შვილი, მგელიკავ.. ჯერ ულვაშში ძბილით ვერ დაუქერია და ხანში შესულთ კი ეჩხირება.

მგელიკა.—მამის სისხლ აქვს.

ვაშლოკინა.—ვაი თუ დაღვაროს ეგ სისხლი...

ვეფხვია.—რა კამათი შეგიდგათ.. ვაშლოკინ, დალიე ლუდი.. დაეხსენ... მგელიკასთან შედავება შენ რაის გარგებს. სახლში ცხრა წლის დუმა აქვს შენახული (შემოდის იმედა).

იმედა.—გაიხარეთ, ხევსურნო...

ქინქარა.—რა ამბავია, შვილო?

იმედა.—ხევსურნო, გზა მოდის.. ახალ ცხოვრება მოდის...

თავდოლაბა.—კარგი შვილი გილირსა, ქინქარავ..

იმედა.—ხევსურნო, ხომ გინდათ ახალ ცხოვრება, ახალ წესები?

არაბა.—ჩვენ გვაქვს ჩვენი წეს-ადათები.

იმედა.—ეგ ადათები წარსულია... კოლექტივი ხომ გვინდა, ღარიბო გლეხებო?

მგელიკა.—ჩვენს ადათებში გვაქვს კოლექტივი.

იმედა.—აბა როდის გვაქვს?

მგელიკა.—ონჩხარი რა არის? ონჩხარის დროს ხომ ვეხმარებით ერთმანეთს. ეს არის კოლექტივი. ხომ მართალია ხევსურნო? ხომ ვეხმარებით ერთმანეთს?

— მართალია, ვეხმარებით..

თავდოლაბა.—სადაურ კოლექტივია ონჩხარი? ვისთვისაა ონჩხარი?

ვეფხვია.—როგორ ვისთვის, ხევსურ ხევსურს ეხმარების.

თავდოლაბა.—მე რატომ არავინ მეხმარების? მეც ხომ ხევსურ ვარ? მაგრამ მე ღარიბ ვარ. სად მაქვს იმდენი ქონება, რომ ონჩხარის ნადიმი გავმართო. ქონება მდიდარს აქვს.. ონჩხარი მდიდრისაა.. მდიდარს მდიდარს ეხმარება, ღარიბების გულის მოსაკლავად... ხომ მართალია, ღარიბო ხალხო?

— მართალია...

— აბა სადაური მართალი..

ვეფხვია.—სიჩუმე... რა მოხდა... სად ისწავლე ეგ ლაპარაკი, თავდოლაბ? ისევ იმ მდიდართან მიხვალ ამ ზამთარ ქერის სასესხებლად..

თავდოლაბა.—მართალია, მგელიკას და შენს ხელში ვართ..

ვეფხვია.—დათვირა ვაჟკაცი... აღარაფერი გაგვეგების..

იმედა.—თავდოლაბა მართალს ამბობს, ამხანაგებო... მდიდართ ხელში ვართ.

ვეფხვია.—ერთ არის ყველა ხევსური. მდიდარი და ღარიბი ღმერთს არ გაურჩევია.

იმედა.—არ არის ერთ.. ასე ლაპარაკობს ჩვენი პარტია.

— მართალია, არაჩის ერთ...

— მართალია..

—შენც ამოიდგი ენა?

— შენ ვინ გკითხავს?

— მართალია..

ვეფხვია.—სიჩუმე... ქინქარავ, ეს ისწავლა ქალაქს შენმა შვილმა? ხევსური ხევსურს უნდა წაეჩხუბოს?

ქინქარა.—იმედავ, შვილო, რაის ლაპარაკობ?

იმედა.—ჩადი ქალაქს, იქ გეტყვიან რა არის კლასთა ბრძოლა.

ვეფხვია.—კარგი შვილი ვერ გაგიზრდია, ქინქარავ ხევსურისათვის.

ქინქარა.—მე როდის გავზარდე ეგრე.. დუშეთში მომითხრევს, გაგზავნეს... ოთხი წელიწადი შვილი არ მინახავს.

იმედა.—ხევსურნო, გზაი გვინდა, განათლება გვინდა.. ასე მასწავლეს ქალაქში.

არაბა.—ჩვენც გვინახავს ტფილისი. რაც იქ არის, ხევსურს არ გამოადგების.

ბაჭიჭაური—იმედაძე, დაჩუმდი.. ად გეს მის, იმედავ, ხევსურეთის წეს ადათს შენ ვერ შესცვლი.

იმედა—შენ განა საბჭოს წევრი ხარ, ბაჭიჭაურო? შენ მთავრობა ხარ? მთავრობა კი არა მუხის ჯირკი ხარ... რომელ კუთხესაც უნდა ზედ დაგაჯდების.

ბაჭიჭაური — იმედავ...

იმედა. — ვერ გაბედავ ვერაფერს... ხომ იცი მე ვინა ვარ... ნახე ნიშანი პარტიის..

არაბა. — არ დავერიდები შენს ნიშანს.

იმედა. — დაერიდები. ჩემთან სხვაც ბევრია... იცი რა არის ეს ნიშანი? მე პარტიაში ვარ, კომკავშირშიც... იცი რა არის ჩვენი პარტია? მთავრობა ხარ, ბაჭიჭაურ, უნდა იცოდე... მაგრამ შენ რაი იცი...

ბაჭიჭაური. — მაგნაირ ნიშანს ყველა გაიკეთებს გულზე.

იმედა. — მარტო ნიშანის გაკეთება ვერ გიშველის.. აქ უნდა იყოს კიდევ, რამე.. აქ, თავში და აქ, გულში.... შენ—კი ქაქუცას ყოფილ ბიჭებთან გაქვს საქმე..

ბაჭიჭაური. — იმედავ... (მიიწევს. ჩოხოლი. იმედას ირგვლივ ჯგუფია).

— შორს, ბაჭიჭაურო...

ქინქარა. — მომკალ, შვილო...

ვეფხვია, — დამშვიდდი, ბაჭიჭაურო... დასტურ, ლუდი მიართვი... ხევსურნო, დამშვიდდით, რა დროს კამათია.... დავლიოთ ხევსურნო..., ხატობაა... ბათირავ, სთქვი ერეკლეს.. ლექსი (სიმშვიდე).

ბათირა. — ვიტყვი ლექსს.

ვინ ღბრუნავ შიბუს ქალასა დილა ადრიან მწკალზედა?

ვინ ხუვები სიმაგრეებსა? მომყევ ვინ უელი თავზედა?

ვეფხვი ვინ მახკალ სახარეს, ვინ ჩაყევ ერეკლეს კარზედა;

ტყავი ვეფხვისა ერეკლეს ვინ ჩაუტანე კარზედა?

იქნების ალუდაური. უდგან ლოგინნი მთაზედა;

იქერს ლილველთა ხევსრთა, ცუდს კაცს არ უშობს გზაზედა;

დღისით დგას ყარაულადა, ღამით ჯიბვს ულის მთაზედა;

ვეფხვს მახკლავს, ტყავსა ჩაუტანს, ჩავას ერეკლეს კარზედა.

ვეფხვია. — იცოცხლე ბათირავ... სიმღერო, ხევსურნო... (სიმღერა).

მგელიკა. —გზის ამბავ როგორ იქნების?

ვეფხვია. — ნუ ჩქარობ მგელიკავ, საქმეს მოველების...

იმედა. — ნათელავ რატომ არ მხედავ..

ნათელა. — აბა რაი ვიცი...

იმედა, — როგორ არ იცი, ქალავ? მაშ ვინ იცის?.. შენს მეტი, ქალავ მე გულში არავინ მყავს..

ნათელა. — რა ვიცი იმედავ... მინდოდა მენახე, მაგრამ..

იმედა.— ოთხ წელიწადს წასულ ვიყავ... ბევრი რამ ენახე... მინდა გითხრა ახალ ამბები..

ნათელა. — მე რაი გამეგების, რომ გითხრა...

იმედა. — გაიგებ, ნათელა... ჩვენი სიტყვა ყველასათვის გასაგებია... ქალმაც უნდა გაიგოს რა არის ახალ ცხოვრება...

ნათელა. — მოდი, იმედა, მნახე... არაბა —კი...

იმედა. — როგორ არაბა..

იმედა.— არაბას რა საქმე აქვს შენთან?

ნათელა, — იმედა... (მიდის).

არაბა. — იმედავ, შეჩერდი..

იმედა. — არსად მივდივარ...

არაბა. — შენ რაი საქმე გაქვს ნათელასთან?

იმედა. — ის მე ვიცი.. შენ რა გინდა?

არაბა. — ნათელას თავი დაანებე...

იმედა. — რატომ?

არაბა.—ბალღობისას დანიშნული ვართ.

იმედა. — ბალღმა რა იცის დანიშვნის..

არაბა. — ასეთია ჩვენი წესი.

იმედა. — არ ვარგა ეგ წესი.

არაბა. — ადათს შენ ვერ შესცვლი.

იმედა. — წეს-ადათი კაცის მოგონილია. კაცივ შესცვლის....

იმედა. — ნიშანი უკან წაიღე.

არაბა. — ნათელაზე ხელი არა გაქვს.

იმედა — არ ვარგა სისხლით გასწორება ამ საქმის...

არაბა. — ჩვენ ასე ვიცით.

იმედა. — იცით და, ნუ გგონია ბარჩი ხანჯალის ხმარება დამვიწყებოდეს.

არაბა. — აბა... (იძრობენ ხანჯლებს) საპოცი ძროხაა შენი ფასი. მეტი ხომ არა...

იმედა. — დამიდექ... (შეებრძოლებიან ერთმანეთს).

ქინქარა. — შვილო, იმედავ..

მზია. — შვილს მიკლავენ, იმედას... მიშველეთ...

თავდოლაბა. — იმედავ, დაჰკარ...

ბათირა. — იმედავ ფოთხილად...

გააშველეთ, გააშველეთ...

— ვეფხვია, სიტყვა....

ვეფხვია. — იკმარეთ, სისხლ ოდუროთ..

მგელიკა. — მახკალ, არაბოვ...

გააშველეთ, გააჩველეთ...

ნათელა. — (მორბის, ჩანდილს დაუგდებს) შეჩერდით, რას შვრებით... (მებრძოლნი შეჩერდებიან).

არაბა. — გზად კიდევ შევეყრებით..

იმედა. — უკან არ დავიხევ..

ფარდა

კალე ბოგოხიძე

ბუნების სიყვარული

— ადამიანი ვეღარ იხსნა მძიმე უღლიდან
ვერც გაზაფხულმა, ვერც მცინარე დილა მზიანმა.
„გულჩათხრობილთა მეგობარი“ შობდა შუღლითა,
რომ მისთვის მხოლოდ შავი სამარე გაეზიარა.
დიდხან უმზერდენ სილაჟვარდეს, ეძებდენ სადგურს
სივრცეთა იქეთ, რომ „დაეშთოთ ამაოებას“,
მაგრამ „გზა ხსნისა“ დაებნათ და მთვლემარე სარდლებს
მეწყერს ატანდა გულზვიადი შავი ცხოვრება.
და მაღალ მთებში არწმუნებდენ მოძმე ხევსურებს,
— თითქო სამშობლო ნაკურთხია ზეციურ ძალით,
მასების ყოფა იყო მხეცური,
როცა მგოსნები ბედს უმღერდენ შიშით და კრძალვით.
გაზაფხულისას ამწვანებულ მინდვრებს და ქედებს
ისეც მიქონდა სილურჯისკენ მღელვარე ფიქრი
და სივრცეებში მისწრაფება ქრებოდა დღემდე
— ვეღარ აღწევდა „ზესლით მოსილ“ სამყაროს იქით.
ეხლა რაზმეულთ ლალუმების ისმის გრიალი,
და ხშირ ტყეებსაც ეუფლება სხვაგვარი მწუხრი,
გულდახურულთა მბრძანებელი მთა ღრუბლიანი.
ქედმაღარ გმირებს გვეგებება მოდრეკილ მუხლით!
იქ, სადაც სალი კლდეები და ნაპრალებია,
მადნის წიაღში გვსურს ინდუსტრიის დასადგურება
(სისხლის მსმელი და მოტრფიალე ველურ ბუნების
ჩვენ — კლასიური მტერი არასდროს არ გვყვარებია).
განახლების გზით გვსურს წავმართოთ ქვეყნის ბრუნება,
რომ მრავალ უცნობ მოვლენათა ვიპყრობდეთ ძალას
დავიახლოვოთ თვალწარმტაცი უხვი ბუნება,
დიად ბრძოლებით მისი სახეც, რომ შეიცვალოს.
თავადებს, მხედრებს ძლიერ უყვარდათ უტეხი მხარე,
განსასვენებლად, სადაც სუფევდა ნაზი ბუნება;
ლამაზ მდელოზე მათ მშრომელთა სისხლი დაღვარეს.
და ინადიმეს იმპერიის ერთგულ მდგმურებმა.
გულღვარძლიანებს ველურ სიხარბით
მშრომელთა მიმართ ალესილი უქრიდათ კბილი,
მათ ახარებდათ ბრძოლებში სისხლით ნალები ხმალი,
და გამარჯვების შემდეგ ფრინველთ გალობა ტკბილი.
ასე შეიქმნა პატრიოტიზმის კულტი ახალი —
ბუნების ტრფობა და ერების განადგურება,
მაგრამ ჩაძაღლდენ ღელვებმა შთანთქა მებრძოლი ხმალი
და „ქართლის ბედმა“ მთავრობათა დამსახურება
დღეს — ლენინიზმის დიად საქმეს ვემსახურებით
ჩვენ ყოველ მხარის მეამბოხე ამხანაგები;
თუმც კვლავ სამშობლო ლამაზია თვისი ბუნებით,
მაგრამ არ ვამკობთ გაიძვერულ ტრფობის ჰანგებით.
ჩვენთვის ბუნება ძვირფასია სხვადასხვა მხარის,
არაფრად გვიღირს ნიადაგი, სადაც მწირია,
მტერი ვარ გვალვის, ჭაობების, ზვავის და ღვარის.
ლაშქრთან ბრძოლით თავიც ხშირად გვგვიწირია!
„ბედის წერათა“ მწვერვალები ბრძოლით მოვისრეთ
და სურვილები მაინც ხვედრმა ვეღარ დასცალა...
ჩვენ გავიმარჯვებთ, ბუნებაზე ძლევამოსილი —
დღეებს მოვიხმართ, ვით მებოლი ძვირფას მაზარას.
ჩვენ კლასთა ბრძოლის ხანძრებში გამოწრთობილებს
დღეთა სიმკაცრის მიმართ ცხოვრებამ ბრძოლა გვასწავლა,
ჩვენთვის ბუნება არც სატრფოა, აღარც ძმობილი
და გვიყვარს, როგორც ადამიანთა ყოფის მასალა!
გვჯერა გავივლით სოციალიზმის მღელვარ ეპოქას,
შრომით გარდავქმნით ჩვენ ბუნების მდუმარ მშვენებას.
რომ ჩვენგან ქმნილი საბადნარო გვყავდეს მეგობრად,
და გვახარებდეს სიველურის გადაშენება.
და, „ცა-ფირუზი“ — რომანტიზმის ნავთსაყუდარი,
ადამიანთა მებრძოლ გონების გახდეს მოედნად,
და წყვდიად ღამეს გარშემორტყმულს შავი სუდარით,
თეთრი ნახშირის ახანძრებს ალი მოედვას.
რომ ჩვენი თვალი ლაჟვარდს უმზერდეს შუბლშეუხრელი,
და მძიმე გრძნობა ბურუსების კვეთდეს სიძნელეს;
ძლიერ კოცონით ცის ბატონობის დაუწვათ უღელი,
რომ მნათობებიც მოკრძალების სახით მიცქერდეს.
და—დედამიწის სხივოსნობით გაფოთრებული
მუქ სივრცეებში დაიბინდოს ვარსკვლავთა გუნდიც—
და ქალაქებში, ვით ბოძებზე შუქთა კრებული,
ქედმაღარ გმირის გარუჯული გაბრწყინდეს კუნთი.
როს გაივლიან ელვასავით დღეთა ზოლები,
ჩვენც მას შევიცნობთ და მისგანვე ვნახავთ სიამეს
დადგება დრო და დაუდეგარ ახალ ბრძოლებით,
მღელვარ სამყაროს ელმაშუქით გავამზიანებთ!..
მოკვდება ლექსით სიყვარული უტეხ ტევნარის
— ბუნების კულტი — პატრიოტულ ავადურ მიზნითა—
ზღვათა გრიგალით გარიყული თეთრი მერანი
და აგვამღერებს აყვავება კომუნიზმისა!..
შეჯახებათა დაშრებიან სისხლის ღელენი,
გამბედავ აზრებს ცას მივასევთ თანაწორები,
ვიომებთ კალმით და ტეხნიკის გამძლე ხელებით
უნდო ბუნებას უფრო მძაფრად შევებრძოლებით!

„ბერეზილის“ ათი წელი

ოქტომბრის რევოლიუციამდე უკრაინის თეატრალური კულტურა უმნიშვნელო იყო და მეტად დაბალ დონეზე იდგა. თითო-ოროლა ძველი თეატრალური ორგანიზაციები შევიწროებულნი იყვნენ რუსული მონარქისტული წყობილების პოლიტიკის წყალობით და მათ მხატვრულ მუშაობას არავითარი გასაქანი არ ჰქონდა.

1922 წლიდან კიევში დადგა ნამდვილი თეატრალური გაზაფხული. სამოქალაქო წლების პერიოდში ჩამოყალიბდა და გაიზარდა ა. ს. კურბასის მხატვრული ხელმძღვანელობით სტუდია „ბერეზილი“. „ბერეზილის“ სათეატრო ასპარეზზე გამოსვლა, მისი მუშაობა და პირველი მხატვრული პროდუქტი უკვე ძლიერი ლახვარი იყო ძველი თეატრალების გულში გადატეხილი, ამ ჭრილობამ მათი სიკვდილიც გამოიწვია.

„ოქტომბერი“, „რური“, „გაზი“,—აი ის სპექტაკლები, რომლებმაც ძველი თეატრალური კულტურა სასტიკად დაამარცხეს და გამოააშკარავეს ახალი რევოლიუციონური ძალა მაღალ მხატვრულ ჩარჩოებში მოთავსებული.

შეკავშირებული ძალით, ძლიერმა მხატვრულმა კოლექტივმა დაიწყო მუშაობა უკრაინის დიდ - ქალაქში — ხარკოვში. თეატრმა დადგა დასავლეთ ევროპის და უკრაინის კლასიკოსები, რომლებმაც თეატრის ხელმძღვანელს — ლეო კურბასს და მთელ კოლექტივს უდიდესი სახელი მოუხვეჭეს.

ახალი თეატრალური გზების ძიების პროცესში თეატრს უთუოდ ჰქონდა იდეოლოგიური მარცხი, რომლებმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა უმთავრესად 27-28 წლის სეზონში.

უნდა აღინიშნოს რომ ამ იდეოლოგიური ნარცხის მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ადგილობრივი რევოლიუ-

ციონური პროლეტარული დრამატურგია სათანადოდ ვერ დაეხმარა თეატრს იდეოლოგიურად, გამრუდებული ხაზის გამოსწორებაში.

თუ ერთის მხრით თეატრის ნამუშევარს ეტყობოდა დიდი ფორმალური მიღწევები, მეორეს მხრით თეატრის სპექტაკლებს ემჩნეოდა წმინდა ნაციონალისტური გადახრები.

შეცდომების გამოსწორების მიზნით უკრაინის კომუნისტურმა პარტიამ, საბჭ. ხელისუფლებამ და მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ ასტეხა განგაში და თეატრის ნიჭიერ ხელმძღვანელთან ერთად — შეცდომების გამოაშკარავებით და ახალი რეპერტუარის შემუშავებით გამრუდებული ხაზი გამოსწორებული იქნა.

„დიქტატურა“ ახალი საპროგრამო მუშაობის პირველი გამარჯვებაა. უკვე რამდენიმე წელია, რაც „დიქტატურა“ მიდის „ბერეზილის“ თეატრში. ეს თავისთავად იმის მაჩვენებელია, რომ სპექტაკლი, როგორც თემატიურად, ისე მხატვრულად თეატრის ნამუშევართა შორის ძვირფას განძს წარმოადგენს.

„ბერეზილის“ თეატრის ნამუშევარს კარგად იცნობს თბილისის მუშათა კლასი, ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობა. „ბერეზილის“ თეატრის ათი წლის თავი ეს ოქტომბრის რევოლიუციის უდიდესი მონაპოვარია. „ბერეზილი“ საკავშ. მნიშვნელობის თეატრია, მისი ნამუშევარი საზღვარგარეთულ თეატრალურ ორგანიზაციებსაც გააკვირვებდა.

ამ ორი წლის წინათ მათმა გასტროლებმა ასეთი შთაბეჭდილება შექმნა ჩვენში.

ათი მუშაობის ათი წლის მანძილზე თეატრმა გამოზარდა საუკეთესო რეჟისორები, კულტურული მსახიობები და შესანიშნავი მხატვრები. აგრეთვე თეატრმა თავის გარშემო დარაზმა უკრაინის დრამატურგები.

ლეს კურბასი უდიდესი რეჟისორია, რომლის მუშაობას გვერდს უმშვენებს დიდი შემოქმედი მხატვარი - დეკორატორი მელლერი.

მხურვალე და გულწრფელი სალამი საბჭოთა უკრაინის მოწინავე საბჭოთა თეატრს —„ბერეზილს“—მისი არსებობის ათი წლის თავზე.

ს. გ—ია.

ნ. ბარათაშვილის პორტრეტისათვის*)

ცნობილია, რომ ნ. ბარათაშვილის რეალური პორტრეტი არ არსებობს. შენახულა რამდენიმე ზეპირი გადმოცემა პოეტის გარეგნობის შესახებ, რომელიც თავის დროზე ჩაუწერიათ ბარათაშვილის პირველ ბიოგრაფებს ზ. მთაწმინდელს და იონა მეუნარგიას. არსებობს აგრეთვე პოეტის ამხანაგის—კ. მამაცაშვილის მიერ დაბეჭდილი აღწერილობა პოეტის გარეგნობისა. სამივე თა დამოწმებით ბარათაშვილი მოთეთრო სახისა, პირხმელი, შავის ცოცხალი თვალებით, წაბლისფერის თმით, საშუალო ტანისა და სისქისა.**) ხშირი წარბები ერთმანეთთან გადაბმული. წვერ ულვაშს არ აპარსავდა, რის გამო მისი სახე, შორიდან ლაზათიანი, ახლოდან ცოტა დაჭყანული იყოო“. (აკად. გამც-მა, 1929 წ. გვ. 25—26).

1915 წ. დეკ. 19-ს ბარათაშვილის დამ (ბარბარე ვეზირიშვილისამ) ს. ფირცხალავასთან ინტერვიუში ასე აღწერა პოეტის — ძმის გარეგნობა:

„ნიკო ძალიან მალხაზი, მარდი იყო და მიმზიდველი სახისა. შუათანა ტანისა, არც გამხდარი, არც მსუქანი, წაბლის ფერი თმა, ბუდეშურად მოყვანილი თვალები, წარბები შეერთებული; წვერ-ულვაშს იპარსავდა. იცვამდა ევროპიულს სამოქალაქო ტანისამოსს. (იქვე, 942), ხოლო დიმიტრი ყიფიანის მეუღლე თავის ვაჟს კოტე ყიფიანს ასე უამბობდა პოეტის გარეგნობის შესახებ:

Нико, называла его Тато, был низенького роста, чистое лицо и маленькие черные усики, волосы на голове всегда стриг под гребенку. Не любил длинных волос, говорил скороговоркой и был очень живой. (იქვე, 245).

მისივე სიტყვებით, თურმე პოეტის და სოფიო (სუმბათაშვილისა) ძალიან ჰგავდა თავის ძმას ნიკოს, ისე რომ, სოფიოს ულვაშები რომ დაეხატა თავის ტუჩებზე, ვერ გაარჩევდით. ეს მართალია სოფიო არის თუ ნიკო ბარათაშვილიო?“ ამიტომ ეტყოდა ხოლმე კოტე ყიფიანს მისი დედა:

Вот уговорите Софию сняться в фотографии, приделайте ей усики и наденьте ей сюртук и будет у вас портрет поэта.

ნინო ყიფიანის იდეას განმხორციელებელი მალე გამოუჩნდა. პირველი ცდა ბარათაშვილის პორტრეტის აღდგენისა მოხდა 1904 წელს, როცა ჟურნ. „მოგზაურმა“ პრემიად გამოსცა პოეტის სურათი ტ. მომცემლიძის მიერ დახატული. ბარათაშვილის ოქსულ კრებულში,

(Баратовский томик, 1905 г.)

ამ სურათის შესახებ ნათქვამია:

«Портрет этот воспроизведен молодым художником Момцемлидзе, которая наружностью напоминает своего брата».

სურათზე პოეტი წარმოდგენილია ქართულ ეროვნულ ტანისამოსში, (რასაც მოსწრეთა სიტყვით თურმე არ ხმარობდა და ყოველთვის სერთუკში იყო გამოწყობილი), აგრეთვე იხლად აშლილ წვერ ულვაშითა და უკან გადავარცხნილი დიდი იმით, რასაც თურმე ასევე არ აკეთებდა. არც სახის იერი შეესაბამება ბ. ვეზირიშვილისა, ნინო ყიფიანის და კ. მამაცაშვილის გადმოცემებს. აქ წარმოდგენილ პოეტს არავითარი მსგავსება არა აქვს თავისი დის სახესთანაც. შესაძლოა თვით ცნობაა შემცდარი, თითქოს ამხ. მომცემლიძეს,—სოფიო სუმბათაშვილის სახის იერით აღედგინოს ბარათაშვილის პორტრეტი, და მხატვარს არავითარი ანგარიში არ გაეწევია დოკუმენტალობისათვის. ყოველ შემთხვევაში, ხსენებულ პოპულარულ, პორტრეტს, რომელიც ასეა გავრცელებული საქართველოში, არაფერი საერთო არა ჰქონია პოეტის რეალურ, გარეგნულ გამოსახულებასთან და ამიტომ იგი თავის დროზევე უარყოფილი იქმნა. მიუხედავად ამისა,—ეს აპოკრიფული ნაწარმოები გადაჭარბებული რომანტიზმით გამოსცა სახელგამმა 1929 წელს და მით ერთგვარი დაკანონება მისცა მას.

1916 წელს, მიხ. თუმანიშვილის (1818—1875 წ.) არქივში აღმოჩნდა პოეტის ნამდვილი სურათის ესკიზი თვით თუმანიშვილის მიერ ფანქრით შესრულებული. სადაც ბარათაშვილი წარმოდგენილია ჰუნგრულ ტანისამოსის დაგვარს საშინაო ტუალეტში. ესკიზს მიწერილი აქვს ორი ინიციალი: Н. (иколай) Б. (аратов). საყურადღებოა, რომ აქ წარმოდგენილი სახის მოხაზულობა ბ. ყიფიან—ბ. ვეზირიშვილის და კ. მამაცაშვილის ცნობებს ესაბამება. მ. თუმანიშვილი ახლობელი მეგობარი იყო ბარათაშვილისა და მისივე შვილის სიტყვით, მას კარგად არ სცოდნია ხატვა და ნაპოვნი ესკიზში ალბად დაცულია საერთო მოხაზულობა ბარათაშვილის სახის (გვ. 240).

მაგრამ ბარათაშვილის პორტრეტის საკითხი, როგორც 1922 წ. ს. ფირცხალავა ირწმუნდა, ჯერ კიდევ გამოურკვევლად უნდა ჩაითვალოს და მისი გადაწყვეტა მომავლის საქმეა.

ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ბარათაშვილის ყალბი გამოსახულობის წარმოშობა. ზემოდ მოვიყვანეთ ცნობა, რომ თითქოს ამხ. მომცემლიძის პოეტის დის სურათით ესარგებლოს, რომელიც სინამდვილეს არ შეეფერება, ახლა შესაძლოა ვიფიქროთ, რომ მხატვარს სხვა უფრო რეალური წყარო ჰქონია. ასე, ამ დღეებში, ჩვენ მივიღეთ ერთი საინტერესო ცნობა სურათის სადაურობისა და წარმოშობის შესახებ. ძველი მოღვაწემ და მთარგმნელმა ივანე აბალიშვილმა ჩვენს შეკითხვაზე გამოგვიგზავნა საყურადღებო ცნობა თავისი მოგონებიდან. ეს ინფორმაცია ინტერესს არ არის მოკლებული მოგვყავს იგი შემოკლებით:

„ს. ქარელში სცხოვრობდა თავადი იასონ დედიანის ძე ციციშვილი, (ცნობილი მწიგნობარი და ავტორი რამდენიმე პოემისა „სარდლის კოშკი“, „დიდი ოთხშაბათი“ (გ. ლ.) მწერლობასთან ერთად მას უყვარდა ხატვა და თავის სამწიგნობარო კაბინეტში გამართული ჰქონდა სამხატვრო კუთხეც ფერწერ-ოაროლებით. იქვე, კედელზე ეკიდა მისი ნახატი სურათები. ისინი მხოლოდ თავის გასართობად ჰხატავდა, როგორც მხატვრობის მოყვარული. საერთოდ მას უყვარდა ფოტო-სურათების გადიდება და შეფერადება ტანისამოსისა შესაფერი ფერებით. ერთხელ, როდესაც მას ქარელში ვესტუმრე, ერთმა მშვენიერ ჩარჩოიანმა სურათმა მიიქცია ჩემი ყურადღება მის კაბინეტში. სურათს ქვეშ ეწერა: ალექსანდრე ციციშვილი. თუმცა იგი დღესაც მიჩნეულია ნ. ბარათაშვილის გამოსახულებად. ჩემი გაკვირვება იასონს გაუზიარე, ხოლო მან მიპასუხა: ეგ ხომ ბარათაშვილი არ არის; რა ვქნა, ვერ იცანი ჩემი ძმა ალექსანდრე. პეტერბურგში ალექსანდრე ცეროვს რომ საპატიო დარაჯად ახლდა? ეს მაშინდელი —ქულაჯაში გამოწყობილი, გადაღებული ფოტოგრაფიაა, სურათი სხვაფრივ ჩემი შეფერადებულია და გადიდებული, ხოლო ბარათაშვილად კი—შემდეგ ჯადოქრობამ გადააქცია: რამდენიმე ხნის წინედ, ჩემი მეგობარი ზაქარია ჭიჭინაძე მეწვია. ჩემი ძმის სურათი მეტად მოიწონა და მთხოვა, იქც დაუთმე, ისოლოდ შევეკითხე, თუ რად უნდოდა? ზაქარიამ მიპასუხა: ლამაზად არის გამოწყობილი ქართულს ტანისამოსში, ნახატიც კარგია, ჩემს ოთახში ჩამოვკიდებ. როცა წასვლის სურათი ქაღალდში გავუხვიე და გადავეცი, გულით შემეხვეწა: ძალიან გთხოვ, თუ სადმე ცეხვდეს ეს სურათი არაფერი სთქვათ; არც ისა სთქვა, რომ თქვენგან წამოვიღეო. მეც შევპირდი.

„გამოვიდა რამდენიმე ხანი. თბილისში ჩაველი და შოთას გამზირზე, ერთი მაღაზიის ვიტრინაში გაოცებულმა ვნახე ჩემი ძმის ალექსანდრეს სურათი ლითოგრაფიით დაბეჭდილი, ქვეშ წარწერით: „ნ. ბარათაშვილი“ პირველად მეტად გამიკვირდა, შემდეგ კი მომაგონდა და ზაქარიას სათხოვარი. სხვათა შორის, პორტრეტის გამოცემამდის ზაქარიას გავრცელებინა ხმა: ერთს ოჯახში ვნახე ბარათაშვილის პორტრეტი, ვაბეჭდინებ და ამ დღეებში გასასყიდათ გამოვაო“.—ასე გასცნო იასონ ციციშვილმა ჩვენში პოპულიარული ნ. ბარათაშვილის სურათის ისტორია“.

მეტად საინტერესოა ივ. აბალიშვილის ცნობა. არ ვიცით, რას იტყვიან ამ ამბავის სხვა მომსწრეები, მაგრამ ციციშვილის ცნობის გაიმიც, დროა აღიკვეთოს ნ. ბარათაშვილის, ყალბი ლეგენდარული პორტრეტი, ხოლო ამიერიდან სათანადოდ შესწავლილი და გამორკვეული იქნეს მის. თუმანიშვილის ესკიზი.

გიორგი ლეონიძე.

*) გიორგი ლეონიძე ამჟამად ამუშავებს ახალ მასალებს ნ. ბარათაშვილზე.

რედ.

**) ალ. ორბელიანი (1802—1869) იგონებს პოეტის „პატარას, ლამაზ თავს“ (მისი მოწერილი, გვ. 252), ხოლო განჯაში, სოფლავის გახსნის დროს, პოეტის „თავის ქალა საკმაოდ დიდი“ აღმოჩნდა. გაზ. „ივერია“, 1893, № 88.

***) ერთად-ერთი დაგეროპიტი ბარათაშვილისა, რომელიც მის დას ნინო ბარათაშვილს შერჩენოდა, დალუპულა ცეცხლში, რომელმაც იმსხვერპლა რუსთაველის პროზედ დუზელიძის ფოტოგრაფია. (ეს დაგეროტიპი ფოტოგრაფისათვის გადაეცა ილია ჭავჭავაძეს (აკად. გამ., 25).

მწერლები საგაზაფხულო თესვაზე

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მიერ თებერვლის პირველ რიცხვებში შედგენილ იქნა სამუშაო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მწერლების უშუალო ჩაბმას თესვის საგაზაფხულო კამპანიაში. მწერალთა ბრიგადები გაიგზავნა რაიონებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კულტურული მომსახურებისათვის. მწერალთა კავშირის ბეჭდვითი ორგანოები, „მნათობი“, „საბჭოთა მწერლობა“ და „სალიტერატურო გაზეთი“ სისტემატიურად მოათავსებენ იმ მხატვრულ მასალებს, რომელნიც დაწერილი იქნება მწერალთა ბრიგადების მიერ საგაზაფხულო თესვაზე.

25 თებერვალს მწერალთა კავშირის ინიციატივით საკ. კ.ბ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის კულტპროპში მოწვეული იქნა თესვაში გასაგზავნ მწერლების თათბირი. ასეთი კი 20-ზე მეტი მწერალი იყო. თათბირმა მოისმინა ამხ. აგამალიანის მოხსენება: „საგაზაფხულო თესვის კამპანიის სამეურნეო პოლიტიკური ამოცანები და მწერლობა“ და გეგმა, რომლის მიხედვით მწერლები იმუშავებდენ ადგილებზე პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უშუალო დახმარებით.

26 თებერვლიდან მწერალთა ბრიგადებმა უკვე იწყეს ადგილებზე გამგზავრება. თვითეული ბრიგადა რაიონში დარჩება 15—30 დღემდე მწერალთა კავშირის მიერ სხვადასხვა ორგანიზაციების დახმარებით პირველ რიგში გაიგზავნა შემდეგი მწერლები: აბაშიძე ირაკლი თელავის რაიონში, მაშაშვილი ალიო—ზუგდიდში, სულავა ალექსანდრე—სენაკში, შახვალაძე — ბორჩალოში, ჩიქოვანი მიხეილ—ოზურგეთსა და ჩაქვის იმერეთა მამულში, პოლუმორდვინოვი ელიზბარ—გორში, ლეუნიანი—ახალციხეში, კურანოვი—ახალქალაქში, კალაძე კარლო—ბანის რაიონში. მწერალთა ბრიგადები რაიონებში დარჩებიან ორი კვირიდან ერთ თვემდე და მონაწილეობას მიიღებენ კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში.

საგაზაფხულო თესვის კამპანიიდან დაბრუნებული მწერლები დასწერენ მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც გამოცემული იქნება კრებულის სახით.

ბარიტონ ვ. ქაშაკაშვილის ხმის ფენომენალური ტრანსფორმაცია

იშვიათია ფენომენალობა სასიმღერო დარგში, ისეთი ფენომენები, როგორც ფაუსტინა ბორდონი, ადელინა პატტი და სხვ., მუსიკის ისტორიაში განსაკუთრებულ ერთეულებათ ჩაითვლებიან. მაგრამ უფრო იშვიათია ხმოვანი ტრანსფორმაცია და ამიტომ, როდესაც მაგალითად ცნობილ ბარიტონის, ტარტაკოვის სტუდიაში (ლენინგრადში) კურსდამთავრებული ტენორი კანიშინი რამოდენიმეჯერ დამარცხებულა სცენიურ გამოსვლების დროს ტენორის როლში, უეცრივ გარდაიქმნა იმგვარ ხარისხის ბანათ, რომ აალაპარაკა თავისი შესანიშნავი მოქმედებით ჯერ იტალიის და შემდეგ ამერიკის არტისტული ფენები.

ამასთანავე ფენომენალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ოპერის სცენაზე ჩვენს თვალწინ მომხდარი ფაქტი—ბარიტონის ვალერიან ქაშაკაშვილის ხმის ტრანსფორმირება და სიძლიერე. არტისტისათვის ყოველ სიძნელესაგან ჩამოშორებული. ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნავს, რომ ქაშაკაშვილმა იტალიის შეიძინა, შეითვისა და აქ ჩამოიტანა შესანიშნავი ვოკალური ტეხნიკა, რომელიც მას ამ მხრივ, განსაკუთრებულად აწინაურებს ჩვენს არტისტულ წრეებში. აი, სწორედ ეს ტეხნიკა არის დღეს გამოყენებული ქაშაკაშვილის მიერ, და აძლევს საშუალებას მას მოიხმაროს დრამატიული ტენორისათვის ფრიად ძნელი ხერხი,—„ბელ კანტო“—ე. ი. „დამატკბობელი“ სიმღერა ყველა ფენებში და ყველა რითმის წიმდინარეობაში. თუ ამას დაუმატებთ ქაშაკაშვილის მიერ განსახიერებულ რადამესის სცენიურ სიმტკიცეს, როგორც შეხედულებით, ისე ქმედობითაც უნდა ვსცნოთ ქაშაკაშვილის ტრანსფორმაციის შედეგები—გამართლებულ მხატვრულ მიღწევად, თვით ქაშაკაშვილი კი უდავო ნიჭიერებით, ტეხნიკით და დიდის ენერგეტიკით აღჭურვილ მოწინავე არტისტულ ძალად. ამასთანავე ვთვლით აუცილებლად, რომ ქაშაკაშვილის ტეხნიკური ცოდნა და გამოცდილება გამოყენებული იქნეს ჩვენი ახალგაზრდა მომღერალ ძალთა აღზრდის საქმეში.

პროფ. კოტე მეღვინეთ-უხუცესი.

ჯონ გოლსუორსის გარდაცვალება

1933 წლის 31 იანვარს გარდაიცვალა ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯონ გოლსუორსი.

გოლსუორსიმ შექმნა რომანების მონუმენტალური ციკლი საკუთრების ინსტიქტის ბატონობის შესახებ. გოლსუორსიმ ამ ციკლს უწოდა: „საგა ფორსაიტების შესახებ“. პირველ ნაწილში შედის რომანები: „კაცი-მესაკუთრე“, „მძიმე უღელ ქვეშ“ და „გირავდება“. მეორე ნაწილი: „თანამედროვე კომედია“ შეიცავს რომანებს: „თეთრი მაიმუნი“, „ვერცხლის კოვზი“ და „ბედის სიმღერა“.

საგა ეხება ხანგრძლივ პერიოდს დედოფალი ვიქტორიას მეფობის უკანასკნელი წლებიდან ვიდრე ინგლისის სამთომადნო მუშების დამარცხებამდე 1926 წელში.

ეს ნაწარმოები სამართლიანად ითვლება თანამედროვე ბურჟუაზიული ლიტერატურის ერთ-ერთ შედევრად.

ჯონ გოლსუორსი აქ მისდევს ბალზაკს და ზოლას კვალს და მისი ნაწარმოები მთლიანად შეეხება ერთი ტიპიური ინგლისური ბურჟუაზიული ოჯახის ისტორიას და კოლიზიებს ინგლისის ცხოვრების ცვლილებების პირობებში. ეს არის დაუნდობელი სურათი კაპიტალიზმის თანდათანობითი გახრწნისა და გადაგვარების, როდესაც ენერგიით სავსე და ქონების მოყვარულ მამებს სცვლიან უნიათო და ულეთო შვილები, რომლებსაც მამების მიერ მოპოვებული ქონების გაფლანგვაც კი აღარ შეუძლიათ საკმაო გემოვნებით. ამასთან, მათ წინაშე საზარი სახით აღიმართება რევოლიუციის საშიშროება. სოციალური ძვრები კიდევ უფრო მათ არსებობას. ისინი გრძნობენ რომ ახლოა კაპიტალიზმის ბოლო და მათი შიშნაჭამი ფუსფუსი და სხვადასხვა სასაცილო სოციალური თეორიები, რომელთა მიხედვითაც სურთ გადაარჩინონ დაღუპვას ბურჟუაზიული სამყარო, მართლაც რომ მათი უკანასკნელი სიმღერაა (მოწავედავი ბედის სიმღერა).

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჯონ გოლსუორსი მიდის პროლეტარულ რევოლუციის გამართლებამდე. მას დააფასა ოქტომბრის რევოლუცია. როგორც მსოფლიო ისტორიის უდიდესი მოვლენი, მაგრამ უარყო მისი საჭიროება ინგლისისათვის და სწორედ ამ ნაწილისუფოზ გლისისათვის და სწორედ ამ ნაწარმოებს უკანასკნელ რომანში: „ბედის სიმღერა“-ში, როდესაც სამთომადნო მუშების საყოველთაო გაფიცვამ შეარყია მთელი ინგლისის ცხოვრება, ბევრი ფიქრის შემდეგ ის მაინც ამბობს: ინგლისი რუსეთი არ არისო.

ჯონ გოლსუორსი დიდი მხატვარი იყო, მაგრამ მას ახასიათებდა უხერხემლო ჰუმანიზმი და მოკულტურონო ლიბერალიზმი. ბოლომდე იგი დარჩა ბურჟუაზიულ მწერლად.

რუსულად მოიპოვება „ფორსაიტების საგის“ სრული თარგმანი, ხოლო ქართულად ჯერჯერობით არც ერთი თმარი არაა თარგმნილი.

რუსეთის დრამკომის რეორგანიზაცია

14 მარტს ამხ. ი. მ. გრონსკის თავმჯდომარეობით შესდგა საკავშირო საბ. მწერალთა ორგკომიტეტის პრეზიდიუმის და რუსეთის დრამკომის გაერთიანებული სხდომა — დრამკომის რეორგანიზაციის საკითხებზე.

ამხ. ი. მ. გრონსკის შესავალი სიტყვის და საკითხის ყოველმხრივი განხილვის შემდეგ გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა გაუქმდეს რუსეთის დრამკომის რეორგანიზაცია და დრამატურგების გაერთიანება საბჭოთა მწერლების ერთიან კავშირში. საკავშირო ორგკომიტეტთან მოეწყოს დრამატურგების ავტონომიური სექცია; შენარჩუნებულ იქნეს დრამკომის სადინანსო სააგენტურო აპარატი.

ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გასატარებლად გამოიყო სპეციალური კომისია ამხ. სუბოცკის, ამალლობელის, კირშონის, აფინოგენოვის, პოგოდინის და სხვების შემადგენლობით.

ვ. კამენსკის იუბილე

ა.-წ. 26 მარტს საწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 25 წლის თავი უსრულდება პოეტ ვასილი კამენსკის.

ვასილი კამენსკი მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილია, როგორც მრავალი წიგნის და პიესის ავტორი, მასებს შორის განსაკუთრებით პოპულიარულია მისი პოემები „სტეფან რაზინი“ და „ემელიან პუგაჩევი“, მაგრამ მკითხველი მასები პოეტ ვასილ კამენსკის იცნობენ არა მარტო როგორც პოემებისა და პიესების ავტორს, არამედ როგორც სალიტერატურო მომხსენებლებს და თავის ნაწარმოების იშვიათ წამკითხველს.

ვ. კამენსკის საიუბილეო სალამო გაიმართება 26 მარტს მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში. საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეა ამხ. ა. ლუნაჩარსკი.

„მზის ჩასვლის წინ“

ამას წინათ გერმანიამ დიდის ზეიმით გადაიხადა ჰერჰარდ ჰაუპტმანის 70 წლის იუბილე.

დიდმა ხელოვანმა ძალიან შეუწყო ხელი ამ იუბილეს ბრწყინვალებას, თავისი უკანასკნელი პიესით: „მზის ჩასვლის წინ“, რადგან პიესის დადგმა სწორედ იუბილეს შეეფარდა.

ამ პიესის სახელწოდება თითქო ამთავრებს ჰაუპტმანის შემოქმედების რკალს და წარმოადგენს მისი შემოქმედებითი დღის დასრულებას. მის პირველ ახალგაზრდულ პიესას ეწოდებოდა: „მზის ამოსვლის წინ“. და თითქოს სწორედ ამიტომ უწოდა მან თავის უკანასკნელ პიესას „მზის ჩასვლის წინ“.

პიესა შესანიშნავად არის დაწერილი და ამტკიცებს, რომ ჰაუპტმანი როგორც ხელოვანი ჯერ კიდევ ძალღონით სავსეა. პიესამ ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიაში. რასაც ხელი შეუწყო ისეთი დიდი არტისტების ბრწყინვალე თამაშმა, როგორიცაა ემილ იანინგსი—ვენაში და ვეთლერ კრაუსი—ბერლინში.

მაგრამ პიესის ტონი უაღრესად სევდიანია. ჰაუპტმანი ხედავს, რომ კაპიტალიზმის მზე მართლაც ჩადის, რომ თუ ოდესმე „ბატონებშიაც“ მოიპოვებოდენ მაღალი სულის პატრონი ადამიანები, ადამიანები დიდი კულტურის, ძლიერი ნებისყოფისა და დიდი ინიციატივის—დღეს მათი ადგილი ჩია. მაგრამ ხარბმა, ტლანქმა, ცინიზმით სავსე და ყოველგვარ ინიციატივასა და მათ შემოქმედების უნარს მოკლებულმა ბურჟუებმა დაიპყრეს და კანონიც მათ მხარეზეა. მზე ჩადის. მოდის ბნელი ღამე!

სასოწარკვეთილების ყრუ კვნესა ისმის ამ პიესაში. ჰაუპტმანი ვერ ხედავს ამაღლდეს ხმამაღალ პროტესტამდე, მაგრამ ეს მისი კვნესა მაინც პატიოსანი ადამიანის მწარე, პასიური პროტესტია.

„ამგვარად—დასძენს ლუნაჩარსკი თავის წერილში ამ პიესის შესახებ—თუ ჩვენ სამწუხაროდ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი (ჰაუპტმანი) ჩვენია, სამაგიეროდ ჩვენ შეგვიძლია ვუკიჟინოთ კაპიტალისტურ ქვეყანას: „სტყუით! ის არც თქვენია“.

„მსოფლიო დაემსგავსა საგიჟეთს“

კაპიტალისტური ქვეყნების კრიზისის გაღრმავებისა და ამ კრიზისიდან თავის დაღწევის უიმედობისათვის მეტად დამახასიათებელია ბურჟუაზიული ქვეყნის ისეთი დიდი პოლიტიკური მოღვაწის განცხადება, როგორიც არის ლოიდ-ჯორჯი.

„1932 წელმა ვერ გადასჭრა ვერც ერთი მსოფლიო პრობლემა,—ამბობს ლოიდ-ჯორჯი თავის უკანასკნელ სტატიაში,—პირიქით. ყველაფერი აირია და გაძლიერდა ქაოსი“.

„როგორია 1933 წლის იმედები?. მე არ ვხედავ რეალურ გაუმჯობესების არავითარ ნიშანს.

მსოფლიო დაემსგავსა საგიჟეთს—სადაც გადაწყვეტილი არ არის საკითხი ჩაიდის ჩამოგდების შესახებ მანქანასა და ადამიანს შორის, მაშ ამ ქაოსიდან გამოსავალი არ არსებობს“.

რევოლუციონური თეატრების ოლიმპიადა

საერთაშორისო რევოლუციონური თეატრების ინიციატივით მიმდინარე წლის 24 მაისს ქ. მოსკოვში მოეწყობა თვითმოქმედ რევოლუციონური თეატრების ოლიმპიადა. ფ. კონის ხელმძღვანელობით გამოყოფილია ოლიმპიადის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტი. კომიტეტის წევრებად დამტკიცებული არიან: ამხ. ამხ. ტაიროვი, მეიერხოლდი, პისკატორი, პიკი და სხვ.

ოლიმპიადის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჯამი გაუკეთდეს მათ ხანგრძლივ მუშაობას და დაისახოს მხატვრული შემოქმედებითი მუშაობის გზები.

ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებენ: საბჭოთა კავშირის, ამერიკის ჩრდილოეთ შეერთ. შტატების, გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, ჩეხო-სლოვაკიის, ბელგიის, ავსტრიის, შვეიცარიის, ესპანეთის, იაპონიის, ჩინეთის, ლატვიის, იოლანდიის და სხვ. თვითმოქმედი ხელოვნების თეატრალური კოლექტივები. ოლიმპიადაში მონაწილეთა რიცხვი, 500-დე იქნება, ჩამოთვლილი ქვეყნები უკვე შეუდგენ ოლიმპიადისათვის მზადებას.

გალერეია

საქ. ეროვნულ გალერეას დღემდე საშუალება არ ჰქონდა, რომ გაეფართოვებია და გაეღრმავებია თავისი მუშაობა. მთელი რიგი მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი ექსპონატებისა ჯერ-ჯერობით კიდევ ყუთებში ინახება. უბინობის გამო ძველი სპარსული ხელოვნების მინიატურების გამოფენა ვერ მოხერხდა. მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ მუზეუმს არ მოეპოვებოდა სათანადო მუშაობისათვის შესაფერისი ბინა.

1933 წლის ბოლო თვეებიდან სათანადო ორგანოების დადგენილებით — მეტეხი გადაეცემა საქართველოს ეროვნულ გალერეას. ახალ ბინაზე (მეტეხში) გამოფენილი იქნება — სურათები, მინიატურები, ძველი ეკლესიური მხატვრობა, ძველი ქსოვილები და სხვ. აგრეთვე მეტეხში მოთავსებული იქნება მუზეუმი ხელოვნების ყველა დარგიდან. განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა — რევოლიუციონური მოძრაობის განყოფილებას. ეროვნულ გალერეას განზრახული აქვს მოაწყოს რამოდენიმე ექსპედიცია ძველი ეკლესია - მონასტრების ფრესკებისა და მხატვრობის გადასაღებად.

თითქმის გამოსაცემად დამზადებულია დ. შევარდნაძის მიერ შედგენილი კატალოგი სამ ენაზე (ქართულ, რუსულ, ფრანგულ ენაზე). აგრეთვე დამზადებულია გამოსაცემად ნიკო ფიროსმანიშვილის სრული ბიოგრაფია — ავტორი გ. ლეონიძე. გამოიცემა პროფ. შ. ამირანაშვილის — საქ. ხელოვნების ისტორია. სახელგამი სცემს სპარსული მხატვრობისა და მინიატურების ალბომსა და ღია ბარათებს.

მოსალოდნელია საზღვარ-გარეთ — გერმანიაში ნ. ფიროსმანიშვილის სურათების გამოფენის მოწყობა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს ის განსაკუთრებული ყურადღება, რომლითაც მთავრობა და პარტია ეპყრობა საქ. ეროვნულ გალერეას.

გალერეის მოსალოდნელ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გალერეის ბიუჯეტი გადიდებულია თითქმის 300 პროცენტით, რაც დიდათ ხელს შეუწყობს და საქმიო სიმაღლეზე დააყენებს საქ. ეროვნული გალერეის მუშაობას.

საბჭოთა ხელოვნება

იწყებს გამოსვლას საქ. განსახკომის ხელოვნების სექტორის, ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის და დრამკომის დეკადური გაზეთი.

„საბჭოთა ხელოვნება“

გაზეთს ექნება შემდეგი განყოფილებები:

დრამატურგიის პრობლემები; საუბარი დრამატურგებთან და დრამატურგები ერთმანეთის შესახებ; მსახიობები და როლები; შემოქმედებითი ტრიბუნა; მუსიკა; საოპერო დრამატურგიის საკითხები; კინომატოგრაფიის ფრონტზე. კინოდრამატურგიის საკითხები; სახვითი ხელოვნება; ქორეოგრაფია ხუროთმოძღვრება; თვითმოქმედი ხელოვნება; საუბარი რეჟისორებთან, მეცნიერებთან, დამკვრელ მუშებთან; კულტურული წვრილმანები; წერილები ადგილებიდან; ხელოვნების ქრონიკა. ხელოვნება საზღვარგარედ. ფოსტა. განცხადებები.

გაზეთში სათანამშრომლოდ მოწვეული არიან ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკაში მომუშავე საუკეთესო ძალები, როგორც საქართველოში, აგრეთვე ამიერ კავკასიაში და საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკებში.

სარედაქციო კოლეგია:

ს. ახმეტელი, გ. ბააზოვი, ვ. ბოკუჩავა, გ. ბუხნიკაშვილი, შ. გაჩეჩილაძე, შ. დადიანი, შ. დუდუჩავა გ. კოლაძე, ლ. ესაკია, პ. სამსონიძე, დ. შავარდნაძე ს. ჩიქოვანი

პ.-მგ. რედაქტორი შ. დუდუჩავა:

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის პროსპექტი № 31, განსახკომის ხელოვნების სექტორი, გაზეთ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია. ტელ. № 13—15.

„ფედერაციის“-ს ახალი გამოცემები

ეგნატე ნინოშვილი

თხზულებანი

II

1933

ფედერაცია



სარედაქციო კოლეგია:
დ. დემეტრაძე (პ. მგ. რედაქტორი) რ. ზვეტაძე (პ.-მგ. მდივანი). შ. დუდუჩავა, ს. თალაკვაძე, ნ. მიწიშვილი. ლ. ქიაჩელი. ნ. ზომლეთელი, ბეს, ქლენტი.
გამომცემლობა „ფედერაცია“
ტირაჟი 6000

ლეჟილმა ბიჭმა ხალათის გადაძრობა დაა-
სტამბა „კომუნისტი“. კამოს ქუჩა № 68